ივერია

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარ შენი თანამდევი უკვდავი სული!“

№ 28, 1991 წლის 12 მაისი

გაზეთი "ივერია" დააარსა ილია ჭავჭავაძემ. აღადგინა ზურაბ ჭავჭავაძემ. აღდგენილი გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1989 წლის 20 თებერვალს.

მიშა + ბორია = იმპერიას!

(ანუ პოლიტიკური ვითარებისათვის საქართველოში)

ძლიერ და ბედნიერ საქართველოს თავისუფლება, ზნეობა და სიბრძნე სჭირდება, რასაც დღეს, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ. ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება გაორებულია. ახალი ხელისუფლება ერთის მხრივ რატომღაც ცდილობს მუდმივ ეიფორიაში ამყოფოს ისედაც გადაღლილი ქართველები, რისთვისაც წარმატებით იყენებს ე.წ. პოლიტიკურ დოპინგებს (31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტი, 14 აპრილის პრეზიდენტობის შემოღება და ეროვნული დაუმორჩილებლობის დღეები, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები და სხვა); მეორეს მხრივ, ასეთი აღგზნებული ყოფის ფონზე სახეზეა მწვავე ეკონომიკური კრიზისი, დეფიციტი, ფასებისა და ადამიანთა გაჭირვების განუხრელი ზრდა, ინფლაცია, ომი შიდა ქართლში, სისხლის სამართლის დანაშაულებათა ზრდა, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაკარგვა და სხვა. ამას თან დაერთო მიწისძვრით გამოწვეული უდიდესი ტრაგედიაც. ასეთი ანომალიური მდგომარეობა ძალზე ადუნებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მთლიანად ერს, გზას უხსნის სოციალურ მოძრაობას. ამის ნათელი დასტურია "მრგვალი მაგიდის"-თავგაზვიადებული მოძრაობა (ბრძოლა გავლენისათვის, თანამდებობებისათვის, მატერიალური კეთილდღეობისათვის და სხვა).

მრავალათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ტრადიციები, უმდიდრესი ისტორია, კულტურა და თავდაუზოგავი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ - ყველაზე ნათელი მოწმობაა ჩვენში მიმდინარე ისტორიულად გარდაუვალი პროცესებისა, რაც სახელმწიფოებრიობის აღდგენით უნდა დასრულდეს. 31 მარტის რეფერენდუმმა კვლავაც ყველა დაარწმუნა ამ ჭეშმარიტებაში. უსიამოვნო მხოლოდ ისაა, რომ მისი შედეგები ბუნდოვანი პოლიტიკური თამაშების საფუძვლად იქცა.

უთუოდ ბევრი დასწრებია მასობრივი ჰიპნოზის სეანსს, როდესაც ჰიპნოზიორი სეანსზე შემოსულ კაცს ჰიპნოზურ ძილში შთააგონებს, რომ იგი საუკუნო [illegible] მიწვეული და შეუძლია მიირთვას ყველაფერი, რაც ესიამოვნება. ხოლო ჰიპნოზში მყოფი დიდი სიამოვნებით შეექცევა არარსებულს და ეიფორიულად იმდენად კმაყოფილია, რომ "ნადიმის" ბოლოს სიმღერასაც კი შემოსძახებს. ასეთი წარმოდგენის მხილველს ჰიპნოზში მყოფის მიმართ ალბათ ერთდროულად გაოცებისა და სიბრალულის გრძნობა დაეუფლება. საუბედუროდ, დღეს ქართველთა ერთი დიდი ნაწილის მდგომარეობა, გარკვეულად, მასობრივ ჰიპნოზში ჩავარდნილების ყოფას ემსგავსება. ამის მეტად ნათელი ილუსტრაცია იყო ე.წ. 9 აპრილს საგანგებო სესიის ამბებთან დაკავშირებული მოვლენები თბილისში, როდესაც დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებისთანავე მთავრობის სახლის წინ უამრავი მოზეიმე ხალხი გამოცვივდა, ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ, ყვიროდნენ, ტიროდნენ, ყვავილებს ისროდნენ, დროშებს აფრიალებდნენ. მოეწყო მიტინგები, მსვლელობები, ლათინოამერიკულად ზეაღმართა მუშტები, გაჩაღდა უსაგნო ბაქი-ბუქი, "კრემლის აგენტთა" მხილება, გაისმა "მოღალატეთა" დასჯის მოწოდებანი და სხვა მრავალი... ასე ჩატარდა საქართველოს არარსებული დამოუკიდებლობის ზეიმი, რასაც ქართველი კაცისათვის რეალურად არანაირი შეღავათის მოტანა არ შეეძლო. პირიქით, ამ ტკბილს სხვაც მოჰყვა და ასე ნელ-ნელა იქსოვება სიცრუეთა ის ბადე, რომელშიც კვლავ იმპერიას უნდა მიაჯაჭვოს საქართველო. თუ რეალურად მართლა რაიმე დამოუკიდებლობა გვაქვს, ნუთუ ეკონომიკაზე და ხალხის კეთილდღეობაზე არ უნდა აისახოს ეს? განა სახარება არ გვასწავლის, რომ ცრუწინასწარმეტყველებას აყოლილი მარტო პიროვნება კი არა, მთელი ერი შეიძლება დაიღუპოს? როგორ უნდა შეამოწმონ ქართველებმა ამ ბოლო 6 თვეში მათ მიერ გავლილი გზის ჭეშმარიტება - მართლა დამოუკიდებლობისკენ მივყავართ "მრგვალ მაგიდას" თუ დაღუპვისაკენ? ქრისტე გვასწავლის: "მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიდან ყურძენს კრეფენ ან ბირკავიდან ლეღვს?" იხილეთ ნაყოფი ცრუწინასწარმეტყველებისა - ბოროტება, სისხლისღვრა, უდიდესი ტრაგედიები და უბედურება, რაც საქართველოს თავს დაატყდა და ადვილად დარწმუნდებით, თუ როგორი ხის ნაყოფით ვსარგებლობთ ჩვენ.

საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს იმპერია საბოლოოდ დაიშალა, ჩვენ მავნედ და არასწორად მიგვაჩნია, რადგან სრულიად აშკარაა, რომ დღეს მხოლოდ მისი გამალებული მოდერნიზაცია მიმდინარეობს - იმპერია კანს იცვლის და ამიტომაა შედარებით ნაკლებად მობილური. თუმცა შეცდომა იქნება იმის თქმაც, რომ ცენტრი უუნაროდ მართავს იმპერიას. პირიქით, დატყვევებულ ერთა მიმართ იგი საკმაოდ წარმატებით იყენებს მათრახისა და შოკოლადის პოლიტიკას. ამდენად, იმპერიის არარსებობის მცდარი დებულება ისევ ცენტრს უმართავს ხელს და ჩვენ საშუალებას გვისპობს რეალურად შევაფასოთ იმპერიაში და კოლონიებში, მათ შორის საქართველოში მიმდინარე პროცესები, რაც გზიდან აცდენს ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ეგოკრიზისებში სძირავს მას. იმპერიამ უკვე შეძლო ჩვენი ჩათრევა შიდა ქართლის პერმანენტული ომის ჭაობში და ალბათ სამომავლოდ მას უფრო ვერაგული გეგმები აქვს.

სამწუხაროდ, ამ საქმეში თავის "ვაშა პატრიოტული", ხალხის ემოციების დონეზე აწყობილი პოლიტიკით, ნებსით თუ უნებლიეთ, ცენტრს უდიდეს დახმარებას უწევს რესპუბლიკის ახალი ხელისუფლება. მაგალითად, ყოფილ სამხრეთ ოსეთში სსრკ შსს ჯარების დამატებითი კონტინგენტის შეყვანის შემდეგ, რაც შესანიშნავად დაემთხვა რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას, შიდა ქართლს ფაქტიურად მოსწყვიტეს ეს ტერიტორია. პატარა ერის წინამძღოლებს ალბათ უფრო მეტი სიბრძნე, სიფრთხილე და ზნეობა მართებთ, რადგან დიდ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები შეიძლება სავალალო გახდეს ქართველებისათვის. შექმნილი პოლიტიკური ვითარების არასწორი ანალიზიდან (თუ უარესი არა!) გამომდინარე, საქართველოს ჰელსინკის კავშირი სრულიად საწინააღმდეგოს გვთავაზობს: "როცა პლანეტა ზანზარებს მის ერთ მეექვსედზე მიმდინარე გლობალური ქაოსის გამო, ფრთხილი პოლიტიკისათვის დრო აღარ რჩება. დღეს სიფრთხილის რისკი უფრო წამგებიანია, ვიდრე მოქმედების რისკი." ("საქართველოს რესპუბლიკა", 5.04.91). ამ "საპროგრამო დებულების" შემდეგ ოფიციალურ პრესაში უკვე გამოჩნდა აშკარად პროვოკაციული მოწოდებანი, რომლებიც ქართველებს კბილებამდე შეიარაღებულ წითელ არმიასთან შეტაკებისაკენ მოუწოდებდნენ. მაგალითად ასეთი: "ფაფარაშლილი საქართველო წითელ ურჩხულთან ომს ესწრაფვის, თავს ძლივს იკავებს!"

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნულ მოწოდებათა ავტორები თვლიან, რომ გაერთიანებული გერმანია საქართველოზე ბევრად უფრო სუსტი და თან სულელებით დასახლებული ქვეყანაა. გერმანელები ხომ საბჭოთა არმიასთან დამოკიდებულებაში ბევრად უფრო ფრთხილად იქცევიან, ვიდრე ქართველები. "სულელმა" გერმანელებმა 8 მილიარდი მარკაც კი გაიღეს თავის ქვეყნიდან რუსის ჯარის გასაყვანად და სსრკ-ს ტერიტორიაზე მათთვის ყაზარმებისა და ბინების ასაშენებლად. სხვათა შორის, წითელარმიელები გერმანიაში დღესაც ისე თავხედურად იქცევიან, რომ ბუნდესვერის ოფიცრების დარბევაზეც არ ამბობენ უარს, ხოლო საბჭოთა მილიტარიზაციის მინისტრი ისე ჩადის და დასეირნობს გერმანიაში, რომ ამის შესახებ ინფორმირების ღირსადაც არა თვლის გაერთიანებული გერმანიის ხელისუფალთ. ჩვენ, ქართველები კი, როგორც ჩანს, გერმანელებზე უფრო "მაგრები" ვართ.

ზემოთმოტანილი "ვაჟკაცური" მოწოდებების ავტორები, ვერც ბალტიისპირეთში შექმნილ ვითარებას აცნობიერებენ. ეს რეგიონი ხომ დასავლეთის ყველაზე აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს. ამას წინათ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა სრულიად არაორაზროვნად განაცხადა: "ბალტიისპირეთსა და სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებს შორის ჩვენი თვალსაზრისით არსებობს განსხვავება... აშშ 1933 წლიდან სცნობს სსრკ-ს ტერიტორიულ მთლიანობას - ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით." მაშასადამე, სამწუხაროდ, ამ საშინელ "მთლიანობას" ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოსაც [illegible]თიდან უნდა დაგვენახა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიუხედავად, ლიტველებს არავითარი შეღავათი არ მისცემიათ, პირიქით, კიდევ უფრო დაუმძიმდათ მდგომარეობა. ვილნიუსში პუგოს ჯარებმა ხელახლა დაიპყრეს. ლატვიაში დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების წლისთავზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ უჩვენა, რომ ლატვიელები არაფრისმომტან სიცალიერედ მიიჩნევენ მას. სხვათა შორის, უკვე ამავე აზრისანი არიან ლიტვის უზენაესი საბჭოს წევრებიც. ნუთუ ეს ვითარება ჩვენთვის გასათვალისწინებელი არ უნდა ყოფილიყო?

აზერბაიჯანი და სომხეთი "ყარაბაღის ომით" საიმედოდ არიან განეიტრალებულნი. ამასთან, ცალკე, აზერბაიჯანელი კომუნისტები და ცალკე, ლევონ ტერ-პეტროსიანის ხელისუფლება ("საპროტესტო" წერილებისა და გამოსვლებ.. მიუხედავად) ცენტრისათვის ხელსაყრელი მანევრირების საშუალებას ქმნიან ამიერკავკასიაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხეთს არ აწყობს სსრკ-ს "ძმური ოჯახის მიტოვება.

ჩინებულად იმართება ბელორუსიაც, იქ მაისის ბოლომდე უკვე შეწყდა გაფიცვები და ადგილობრივი კომუნისტები "ახალ ცხოვრებას" იწყებენ, ისინიც ემზადებიან ადგილობრივი პრეზიდენტის არჩევნებისათვის. უკრაინა კვლავაც ძილ-ბურანშია, ხოლო მოლდავეთი - შინაომების, რეპრესიებისა და სხვათა გამოყენებით ცენტრმა ჯერჯერობით დააშოშმინა. რაც შეეხება შუა აზიის რესპუბლიკებს, გარკვეული შინაკონფლიქტების მიუხედავად, ისინი თითქოს ნარკოტიკებით გაბრუებულები შეჰყურებენ იმპერიაში მიმდინარე მოვლენებს.

რუსეთში პოლიტიკური და სოციალური "ორთქლის" გამოშვების დიპლომატებმა "საყოველთაო გაფიცვა" წამოიწყეს. პოლიტიკურ არენაზე წინასწარ განაწილდა დადებითი და უარყოფითი როლები და ორი წამყვანი როლი - გორბაჩოვისა და ელცინისა. მიშა + ბორია = იმპერიას! ასეთი ფორმულირება შეიძლება მიეცეს მათ მოღვაწეობას საბჭოეთში. მაგალითად, რუსეთის მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვის აგორებაში ელცინმა უდიდესი როლი შეასრულა. მან გაფიცვათა აზვირთების დროს გორბაჩოვის გადადგომაც კი მოითხოვა. ეს პოლიტიკური მოთხოვნა შემდეგ მაღაროელებმაც აიტაცეს, მაგრამ ელცინმა ბოლო მომენტში საერთოდ "მიივიწყა" ეს მოთხოვნა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული გაფიცვები მუშათა არაადამიანური ყოფის შედეგია, რომელიც ადრე თუ გვიან უსათუოდ იფეთქებდა, მაგრამ მოდერნიზაციის ოსტატებმა ეს ენერგია კალაპოტში ჩააგდეს და თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. განა ცენტრისათვის მართვადი მუშათა მოძრაობა უფრო მოსახერხებელი არაა, ვიდრე სპონტანური? ამ საქმისათვის კი ზედგამოჭრილია ბორის ელცინი, მუშათა და ეროვნულ მოძრაობაში განტოტებული სუკ-ის უძლიერესი ქსელის "აკომპანიმენტით". შეიძლება ჩვენში ვინმეს მართლა სჯერა, რომ იმპერიის საიდუმლო პოლიციაც აღარ არსებობს? ცხადია, ასეთი გაფიცვებით იმპერიაც გარკვეულად ზარალდება, მაგრამ ამასთან რა მოსატანია ის ზარალი, რაც მუშათა უმართავ მოძრაობას შეიძლება მოჰყვეს.

ამ ახალ რუსულ წარმოდგენაში უარყოფითი როლი პრემიერ პავლოვს ხვდა წილად (ის გარეგნობითა და ბიოგრაფიითაც ვერ იმსახურებს სიმპათიებს), სწორედ ის აჩხუბეს ყველაზე მეტად დამშეულ მაღაროელებთან, ბორია კი ამასობაში სულ უფრო მეტად აკონტროლებდა გაფიცვებს. ამ საქმეში გორბაჩოვი ნაკლებად ერეოდა, ის საზღვარგარეთულ ვიზიტებზე უფრო ფიქრობდა. გაფიცვათა ტალღა კი გარკვეულ ზღვრამდე აზვირთდა და შეჩერდა. რაც მთავარია, იგი საკმაოზე მეტად გაიჭიმა დროში. ამასობაში ბორია პარიზს გაემგზავრა და იქ ელისეს სასახლეში ფრანსუა მიტერანთან სულ სხვაგვარად აჭიკჭიკდა. ელცინმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია სსრკ-ს დაშლა და უკვე აშკარად დაიწყო გორბაჩოვის მხარდაჭერა. მიშამ კი ცალკე განაცხადა, რომ მე და ბორია ერთი სავარძლისთვის არ ვიბრძვითო. იწყებოდა სპექტაკლის ახალი აქტი - სტაბილიზაცია, როდესაც ყველა მოქმედი პირი და შემსრულებელი წინასწარ მონიშნულ ადგილებზე ნაწილდებოდა. რაც ყველაზე მთავარია, ამ პერიოდში გაიმართა 9 რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა და მოლაპარაკება (6 ჯერჯერობით გვერდზე დარჩა). მოლაპარაკებისას კომპრომისზე წავიდა მიშა, იგივე მოიმოქმედეს რესპუბლიკებმაც. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ 1991 წლის შუა ზაფხულში ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დადებდნენ. შეხვედრაზე მიიღეს საიდუმლო მემორანდუმიც, რომელიც არ გამოქვეყნებულა. ამის შემდეგ ბორისი მაღაროელებთან გაემგზავრა. ადგილზე - დაუყვავა, შეჰპირდა, აუხსნა... ცხადია, არა იმაზე მეტს, რაც უკვე "9-თა მოლაპარაკებით" იყო დადგენილი. იმპერიამ მაღაროები ერთი ჯიბიდან მეორეში, ანუ საკავშიროდან რსფსრ-ს იურისდიქციაში გადაიტანა, რამაც ბორიას ავტორიტეტიც გაზარდა და იმპერიაც არ დააზარალა. დამშეულ და განაწამებ მაღაროელებს ელცინი იმასაც შეჰპირდა, რომ ისინი მაღაროთა მოგების (მათ შორის ვალუტაშიც) თანაზიარნი გახდებოდნენ. ასე ჩააცხრო ბორიამ მის მიერვე აზვირთებული გაფიცვები, რომლებიც ძირითადად შეწყდა. მოიხსნა "სამკვდრო-სასიცოცხლო" დაპირისპირება ორ ლიდერს შორის. ამ ფაქტით იმპერიის შენარჩუნების მოსურნე რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფრიად კმაყოფილი დარჩა. ეს შესანიშნავი წინასაარჩევნო კამპანიაა ივნისში ბორიას პრეზიდენტად არჩევისთვისაც. რაც შეეხება მიშას, მან "დიდ პლენუმზე" გენერალური მდივნის თანამდებობაც შეინარჩუნა და პრეზიდენტის სავარძელშიც უფრო მოხერხებულად მოკალათდა.

ასეთი ოსტატური თამაშით განასრულეს იმპერიის მოდერნიზაციის ერთი მეტად რთული ეტაპი მიშამ და ბორიამ, და, რა თქმა უნდა, იმ მძლავრმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც მათ ზურგს უკან დგანან. ამ საქმეში ხომ მათ აშკარად თუ ფარულად დასავლეთიც უჭერს მხარს. როგორც ჩანს, ამჟამად არავის არ აძლევს ხელს დიდმასშტაბური ქაოსი და სამოქალაქო ომი სსრკ-ს ტერიტორიაზე.

საუბედუროდ, ჩვენი რესპუბლიკის ამჟამინდელ ხელისუფალთ არ ეყოთ პოლიტიკური სიბრძნე და სიმწიფე ზემოაღნიშნული თამაშის არსში წვდომისა (ან მოდერნიზაციის დიდ თამაშში არიან ისინიც ჩართულნი). და რადგან საქართვე[illegible] მმართველობა უკვე ჩამოყალიბებულია, ამიტომ ქვეყნის საზიანოდ დაშვებული შეცდომებისა და გატარებული უვარგისი პოლიტიკისათვის მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს "სტოლნაჩალნიკს" უნდა დაეკისროს. მან ხომ მთელი იმედები ბორიაზე დაამყარა და საცოდავი მიშა უკვე თანამდებობიდან გადაყენებულად მიიჩნია.

ბ-ნი ზ. გამსახურდია, რბილად რომ ვთქვათ, ყაზბეგში გააცურეს ჩრდილოელმა "ჟულიკებმა", რის შემდეგაც ბორიამ მთელ საქართველოსთან ერთად ძალზე იაფად გაჰყიდა იგი - ჯერ რსფსრ-ს ყრილობაზე, ხოლო შემდეგ პარიზსა და "9-თა შეხვედრაზეც"... განა ეს მოსალოდნელი არ იყო? კაცი, რომელიც ჩრდილოეთის დათვს უფრო ენდობა, ვიდრე საკუთარ ოპოზიციას, უარეს უბედურებას მოსწევს ქვეყანას! არაერთ გამოსვლასა და ინტერვიუში ზ. გამსახურდია უმაღლეს შეფასებას აძლევდა ბ. ელცინს, "სადა, გულღია, უბოროტო და პატიოსანი კაცი" უწოდა მას. მართალია, ბ-ნ ზ. გამსახურდიას მტკიცებით, ამის შემდეგ ეს "გაუგებრობა" არაერთგზის მოინანია ბორიამ, მაგრამ ამით ქართველ ხალხს შეღავათი არ მისცემია. თუმცა, მანვე ისიც გაანდო კორესპონდენტებს, რომ ამ ბოლო ხანებში უკმაყოფილოა ბ. ელცინის პოლიტიკური შემობრუნებით. მაგრამ ვინ დათვალოს პოლიტიკოსთა უხნეო ბრუნვების რიცხვი? აი, მაგალითად, თავად ბ-ნი ზ. გამსახურდია ადრე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ იგი კრემლის ზღურბლს არ გადასცდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობამდე, მაგრამ ამჟამად განაცხადა, რომ იგი მზადაა ჩავიდეს მოსკოვში და მოლაპარაკება გამართოს გორბაჩოვთან. ეტყობა, მოლასი არ იყოს, ბ-ნმა ზვიადმაც ირწმუნა 9 აპრილს მოგონილი საკუთარი ტყუილი საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესო ფაქტია, რომ სუკ-ის მაიორი და ცნობილი მზვერავი გორდიევსკი რადიო "თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში ირწმუნებოდა, რომ გორბაჩოვმა [illegible] სუკ-ის [illegible] მიმართება და, ამიტომ, ელცინის [illegible]. იქნებ ამიტომ გადაიხარა ზ. გამსახურდია მიშასაკენ? ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ისე კი საოცარია, ვინ უშლიდა ხელს აქამდე ამ ორ თანამოაზრეს შეხვედრაში და მეგობრულ ბაასში? აბა გადავხედოთ ცენტრში და ჩვენს "დამოუკიდებელ" რესპუბლიკაში გატარებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, რამდენ მსგავსებას შევნიშნავთ მათ შორის: ფულის რეფორმა, ფასების მომატება, მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის შეჩერება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზირება, მიტინგებისა და გაფიცვათა აკრძალვა, ოპოზიციის დევნა, საკუთარ ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია, ავტორიტარიზმისაკენ ლტოლვა და ა.შ. უფრო მეტიც, საინტერესოა, რომ საპრეზიდენტო 5%-იანი გადასახადი ჩვენმა პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ გააუქმა, როცა გორბაჩოვმა ამის დასტური გასცა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ("9-თა შეხვედრის" შემდეგ). იგივე შეიძლება ითქვას პურზე და ტრანსპორტის უმნიშვნელო სახეობებზე ფასების დროებითი დაკლების შესახებ, რასაც [illegible] პრეზიდენტი წინასაარჩევნო რეკლამისათვის იყენებს. აი, ასე შენიღბულად მუშაობს "დიდი პრეზიდენტი" საქართველოს ტერიტორიაზე "პატარა პრეზიდენტის" გამოყენებითა და "დამოუკიდებელი სახელმწიფოს" სახელით.

ელცინთან ურთიერთობაში მარცხისა და პუგოს ჯარების დამატებითი კონტინგენტის შეყვანით, შიდა ქართლისაგან სამაჩაბლოს მოწყვეტის დანაშაულებრივი მოქმედების შესანიღბავად, შიდა ქართლიდან შსს ჯარების გაყვანის მოთხოვნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ე.წ. საყოველთაო გაფიცვისა და დაუმორჩილებლობის აქციის განხორციელება სცადა (10 აპრილი - 1 მაისი), და ეს მაშინ, როდესაც "მრგვალმა" კანონმდებლებმა თავად დააკანონეს მათი იქ ყოფნა და ცოცხალი თავით აღარ უარყოფენ ამ ყბადაღებულ მე-11 მუხლს. უფრო მეტიც, ბ-ნმა ზ. გამსახურდიამ განსაკუთრებული ბრძანებით 12 მაისამდე გააგრძელა კომენდანტის საათი ცხინვალისა და ჯავის რაიონებში, სადაც არათუ ქართული მილიცია და გვარდია, არამედ უბრალო ქართველი მოსახლეც აღარ დარჩა და, ფაქტიურად, ეს ტერიტორია რსფსრ-ს კუთვნილებაშია გადასული. როგორც ჩანს, სწორედ საბჭოთა ჯარებს გაუხანგრძლივა კომენდანტის საათი "დამოუკიდებელი" ქვეყნის მმართველმა. აღნიშნული "დაუმორჩილებლობითა" და "გაფიცვით" ჩვენი "შორსმჭვრეტელი" პოლიტიკოსები თურმე იმპერიის ეკონომიკის დადამბლავებას ფიქრობდნენ, შედეგი კი სრულიად საწინააღმდეგო მივიღეთ, - გარდა იმისა, რომ ამ გაფიცვით ყველაზე უფრო საქართველო დაზარალდა, ამავე გაფიცვით ყველაზე მეტად ისევ "მოძმე რუსეთს" გაუმართეთ ხელი, რადგან რკინიგზითა და ზღვით შემოსაზიდი ამიერკავკასიის ტვირთი (მათ შორის სურსათი) რუსეთში იცლებოდა და საშვილიშვილოდ გვეკარგებოდა.

ამჟამად ჩვენში პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. 26 მაისს საქართველოში არჩეული პრეზიდენტი რიგით მე-8 იქნება - ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის და სხვათა შემდეგ, მაგრამ ჩვენი თეატრალიზირებული ფსიქიკის ამბავი რომ იცის, ცენტრი ალბათ დარწმუნებულია იმაში, რომ ამ ახალი გასართობით ყველაზე მეტად ქართველები შეიქცევენ თავს. იმპერიის მოდერნიზაცია კი თავისი გზით წავა და საბოლოოდ მივიღებთ ახალ ავტორიტარულ რესპუბლიკათა კავშირს პატარა დიქტატორ-პრეზიდენტებით სათავეში (რესპუბლიკასაც გააჩნია).

დასასრულს, ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ერთ მეტად უსიამოვნო ტენდენციაზე გვსურს შევჩერდეთ. ესაა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი თარიღების - 9 აპრილი, 14 აპრილი, 26 მაისი და სხვა - საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების ულირსი მცდელობა, რაც საქართველოს უახლესი ისტორიული წარსულის გასაუფასურებლადაა გამიზნული.

5.05.91



ჟამი ჩვენი დამშვიდებისა თუ მღელვარებისა?

როგორც იქნა საქართველოში არჩეულ იქნა ახალი უზენაესი საბჭო, შეიქმნა ახალი მთავრობა, მალე ჩატარებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები. თითქოსდა ყველაფერი ნათელია: რა გვაქვს დასაეჭვებელი ან საგანგაშო? ოფიციალური პროპაგანდაც დღენიადაგ აძლიერებს ამგვარ განწყობილებას. ერთი სიტყვით, ქართველობის ფართო მასებში იქმნება დამშვიდებული განწყობილება, ამით დაჩლუნგებულია კრიტიკული აზროვნების უნარი. ხშირად გვესმის: ვაცალოთ ახალ ხელმძღვანელობას, ვაცალოთ (ვარლამ არაბიძის სიტყვების პერიფრაზი!). პირადად მე გულმხურვალე მომხრე გახლდით უზენაესი საბჭოს არჩევნებისა. მეტსაც ვიტყვი: არჩევნები უნდა ჩაგვეტარებინა ჯერ კიდევ გასული წლის 25 მარტს. აქ შემომედავებიან იმის თაობაზე, რომ განა შეიძლებოდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნებიო? მოდით, გავთავისუფლდეთ განსაზღვრული ვიწროპარტიული აზროვნებისაგან, თუთიყუშივით ერთი და იგივეს გამეორებისაგან და დავფიქრდეთ – განა გასული წლის 25 მარტის არჩევნები ჩვეულებრივი ტრადიციული იყო? მოგვეცა შესაძლებლობა კომპარტიასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიეღო სახალხო ფრონტსაც, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით – სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს. კერძოდ, ასე გაკეთდა ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. გულზე ხელი დავიდოთ და პასუხი გავცეთ კითხვაზე: განა ახლანდელი ჩვენი უზენაესი საბჭო თავისი ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალით რაიმეთი აღემატება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანალოგიურ დაწესებულებებს, განა ჩვენმა "პარლამენტმა" შესძლო რამე ისეთი გაეკეთებინა, რაც ვერ გააკეთეს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის უზენაესმა საბჭოებმა? ვეჭვობ, რომ ამ საკითხში რაიმე საორჭოფო იყოს.

ასე რომ, ჩვენ დავკარგეთ რვა თვე, რაც დღევანდელი დაჩქარებული ისტორიული ტემპის პირობებში დიდ დანაკარგად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სახალხო ფრონტმა, რომელიც მოწოდებული იყო ახალ არჩევნებში გაემარჯვა, ვერ გაამართლა თავისი მისია. ამის მიზეზები შემდეგია: ჯერ ერთი, ოპოზიციის უმეტესმა და თანაც უფრო ენერგიულმა ძალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს აღნიშნულ არჩევნებს და მთელი ძალისხმევა წარმართეს სავსებით არასაბჭოურ ორგანოს – ეროვნული კონგრესის არჩევნებისაკენ. ეს არსწორი პოზიცია გახლდათ, რისი გაგებაც დროის ახლანდელი გადასახედიდან არაა ძნელი. მეორე, თვით საქართველოს სახალხო ფრონტის შიგნით არსებობდა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ იყო შემართული არჩევნების ჩასატარებლად და იყურებოდა ოპოზიციის მხარეს, თუ რას გააკეთებდა ეს უკანასკნელი. აქედან გამომდინარე, ხალხის საკმაოდ ფართო მასები "კონგრესისტების" პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცნენ. 25 მარტის არჩევნების ჩაშლით, ცხადია, კიდევ უფრო გადავადდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, ასევე უმაღლესი საბჭოს არჩევნები აფხაზეთში, რითაც გახანგრძლივდა ეთნოკრატიის ბატონობა ამ რეგიონში. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა და ამჯერად დავანებოთ თავი მის გახსენებას. 28 ოქტომბრისა და 11 ნოემბრის არჩევნებმა ბევრს დიდი სიხარული მოგვგვარა, ვინაიდან კომუნისტურმა პარტიამ თვალსაჩინო მარცხი განიცადა. ამდენად, ჩვენ აღმოვჩნდით საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკათა რიგში, სადაც ხელისუფლების სათავეში ოპოზიციური ძალები მოვიდნენ. მაგრამ იმავდროულად სხვა გარემოებამაც დაგვალონა – სახელდობრ, ამომრჩეველთა ფართო ფენების ორიენტირებამ არა საარჩევნო პლატფორმასა და პროგრამაზე, არამედ ერთ, თანაც ბევრის მხრივ წარმოსახულ, პიროვნებაზე. ხშირად დეპუტატობის კანდიდატის ინტელექტი, დამსახურება და ზნეობაც კი იგნორირებული იყო. მთავარი გახლდათ, ვიმეორებ, "მრგვალი მაგიდისადმი" კუთვნილება, რომელსაც პიროვნულად ზვიად გამსახურდია განასახიერებდა. ამიტომაც მოხდა, რომ აღნიშნული საარჩევნო ბლოკიდან ბევრი უფერული პიროვნება გავიდა. ერთი სიტყვით, საგანგაშო და დამაფიქრებელი მომენტი ჩვენი უზენაესი საბჭოს არჩევისას იმთავითვე ჩაისახა.

მიუხედავად აღნიშნულისა, მე მაინც იმედიანად განვეწყვე და ველოდებოდი ახლადდაბადებული უზენაესი საბჭოს პირველ ნაბიჯებს. ვიმეორებ: არავითარი წინასწარი ახირება არ მქონია, რათა ჩვენი უზენაესი ხელისუფლება უარყოფითად აღმექვა. მაგრამ, სამწუხაროდ, პირველი სესიის მეორე დღესვე გამოიკვეთა აგრესიული მორჩილი უმრავლესობა და ერთი პიროვნების დიქტატი. ორას ორმოცდაექვსი დეპუტატიდან ხუთიოდე თუ აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც შეეწინააღმდეგებოდნენ დიქტატისა და მორჩილების მძლავრ ტენდენციებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდასაპარლამენტო ოპოზიცია უსუსური აღმოჩნდა. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ოპოზიცია ოდენ ოპოზიციობისათვის არსებობდეს და ყველა შემთხვევაში კრიჭაში ედგეს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს. არავითარ შემთხვევაში! ოპოზიცია კონსტრუქციული უნდა იყოს, ამაღლებული ვიწროჯგუფური ინტერესებისაგან. მოგეხსენებათ, ასეა ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც ოპოზიცია პარლამენტში და მის გარეთ ნორმალურ მოვლენად ითვლება და, რაც მთავარია, სასიკეთოდ წაადგება ხოლმე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დღევანდელი შემადგენლობის უმეტესი ნაწილის მხრივ აღნიშნული გარემოების გაცნობიერებას ვერ ვამჩნევთ. იგი საოცრად მონოლითურია და, როგორც წესი, ორიენტირებულია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი. უზენაესი საბჭოს ბოლო სხდომებს, როგორც ვიცით, აღარ გვაჩვენებენ (არ გვეუბნებიან, მაგრამ მოტივი ჩვენთვის ნათელია), მაგრამ რის მოწმენიც ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, ტელემაყურებელნი, ვყოფილვართ, შემაძრწუნებელია. საოცარი შეუწყნარებლობა განსხვავებული შეხედულებისადმი! მარტო ნოდარ ნათაძის გამოსვლებისადმი რეაქციები რად ღირს! გნებავთ, ის სკანდალი მოვიგონოთ, რომელიც მოჰყვა დეპუტატ ალექსანდრე კავსაძის გამოსვლას. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ზემოაღნიშნული როდია. მთავარია ქართველობის ფართო მასების დღევანდელი განწყობილება, რომელიც ასევე ვერ აცნობიერებს ოპოზიციის საჭიროებას, შესაბამისად, ოპოზიციის გამოვლინებებს. თუ, ვთქვათ, ინგლისელისათვის უეჭველია პარლამენტში და მის გარეთ, თუ ვთქვათ, კონსერვატიული პარტიის გამარჯვებით ლეიბორისტები მის თვალში უფუნქციოდ არ რჩებიან, ჩვენი მასების ერთ ნაწილში მსგავსი მიდგომა გამორიცხულია. ზოგჯერ მიუთითებენ საქართველოს რთულ საშინაო და საგარეო ვითარებას. არანაკლებ რთული ვითარება სუფევდა 1918–21 წლების საქართველოში, მაგრამ ოპოზიციის არსებობის მიზანშეწონილება არავის არ დაუყენებია ეჭვქვეშ. ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ამომრჩეველთა უფრო მეტმა ნაწილმა აირჩია, ვიდრე "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები 28 ოქტომბრისა და 11 ნოემბრის არჩევნებში, მაგრამ პირველნი ამას წარამარა როდი გაიძახოდნენ. მცირერიცხოვანი ოპოზიცია წარმატებით მოქმედებდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

ხშირად რიგითი და საშუალო ქართველის ცნობიერება ამართლებს ჩვენს ახლანდელ სიტუაციაში დიქტატურისა და მორჩილების თავჩენილ მძლავრ ტენდენციებს. ეს ცნობიერება, რასაკვირველია, არ აღშფოთდება მაშინაც, როცა აღნიშნული ტენდენციები ჩამოყალიბდება, დასრულებული სახით იქნება. თითქოს მიზეზი ნათელი უნდა იყოს: რუსეთის იმპერიაში ასჩვიდმეტწლოვან მონობასა და ბოლშევიკური (კომუნისტური) რეჟიმის ქვეშ სამოცდაათიანი წლის ყოფნას უკვალოდ არ უნდა ჩაევლო და მან მძიმე, მონური დაღი დაასვა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას. მაგრამ მოვლენის მიზეზის ახსნა დიდი ნუგეში ვერ გახლავთ. ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ ქართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტოტალიტარიზმის სინდრომითაა მოცული. თუ ასე გაგრძელდა და გაიმარჯვა შესაბამისმა ტენდენციამ, მაშინ ჩვენი ბედი დაემსგავსება აღმოსავლეთელ გერმანელებისას, რომლებმაც ტოტალიტარიზმში ამოჰყვეს თავი. ოღონდ ჩვენ, ცხადია, შებრუნებითი მიმართულებით ვივლით, რაც ვერაფერი ნუგეში იქნება.

თუ აღნიშნულმა გარემოებამ გაიმარჯვა, მაშინ სხვა მხრივაც უნდა შევძრწუნდეთ. თავის დროზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ტოტალიტარისტულმა ტენდენციებმა საქართველოში მძლავრად იჩინა თავი. სწორედ ამ საფუძველზე აღზევდა ჩვენში სოციალ-დემოკრატია და მან იმსხვერპლა იმ ხანის ქართველობის ნამდვილი გონება და სინდისი ილია ჭავჭავაძე. ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად როგორ განვითარდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, ბოლშევიკების მხრივ ოკუპაციასა და ანექსიას რომ არ ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ერთი რამ აშკარად შეინიშნებოდა: ნოე ჟორდანიას კულტის დანერგვა ქართველობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში. ისტორიულ მდინარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს "საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ" შეცვალა. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ წარმოვიდგენთ მთელს ქართველობას, როგორც დემოკრატიული შეგნებით გამსჭვალულთ. მნიშვნელოვან ნაწილში ფართოდ დაინერგა სტალინის კულტი, მეტიც – ადგილობრივი სტალინების კულტებიც. მეოცე საუკუნის უდიდესი ტირანის სიკვდილის შემდგომ და საბჭოთა სისტემის ღრმა კრიზისის კვალობაზე სტალინის კულტს ჩვენში, როგორც იქნა, წყალი შეუდგა. (ერთ ნაწილში ეს კულტი, როგორც ცნობილია, ისევ ბოგინობს). ნუთუ, ამოდენა ისტორიული გამოცდილების შემდეგ პიროვნების (ვინც არ უნდა იყოს იგი) კულტს კვლავ რეანიმაცია სჭირდება? ბისმარკი ამბობდა, რომ ჭკვიანები სხვათა შეცდომებზე სწავლობენ, ხოლო უგნურნი თავისზეო. რა კატეგორიის ხალხს მივეკუთვნებით ქართველები, თუ აღნიშნული მიმართულებით ჩადენილ შეცდომებს კვლავ გავიმეორებთ?

ისტორია ადამიანთა შემოქმედებაა, მას ქმნიან თვითონ ადამიანები, ცხადია, არსებული წინამძღვრების პირობებში. საბჭოური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ჩვენ დავკარგეთ აღნიშნული ჭეშმარიტების გაგება. უმთავრეს მამოძრავებელ ძალებად "იქცნენ" ბაზისი, ზედნაშენი, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი. ამ აბსტრაქტებმა, ვიმეორებ, სავსებით დაჩრდილეს ადამიანის ფაქტორიო. ამჯერად მე აღნიშნული თეზისის მორალი მაინტერესებს: დღევანდელ ისტორიაში ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული და იგი წარიმართება ისე, როგორც ჩვენ ვიაზროვნებთ და ვიმოქმედებთ. თუ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიული შეგნება და მოქმედებანი სუსტია, მაშინ ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ გაიმარჯვებს ტოტალიტარული ტენდენცია. ნუ ვიქნებით იმის იმედად, რომ მსოფლიო ისტორიის ტენდენცია თავისუფლებისკენ სწრაფვის განვითარება იყო, რომ ადამიანი, თავისი არსით, თავისუფალია. ჯერ ერთი, მეოცე საუკუნემ ჰეგელისეულ წარმოდგენაში მსოფლიო ისტორიის განვითარების შესახებ დიდი კორექტივი შეიტანა, რაც თავის დროზე ნიცშემ იწინასწარმეტყველა და გააცნობიერეს შპენგლერმა და სხვებმა. მეორე, თუ ადამიანთა ერთი ნაწილი ცდილობს მიილტვოდეს თავისუფლებისაკენ, მეორე ნაწილისათვის იგი (ეს თავისუფლება) არაფრის მთქმელია, შესაბამისად, არავითარი ფასეულობა არ არის. მთავარი, გადამწყვეტია, თუ როგორი იქნება თანაფარდობა დემოკრატიულად და ტოტალისტურად განწყობილთა შორის. თუ საქართველოში დემოკრატიული შეგნებით ადამიანები მცირერიცხოვანნი იქნებიან, მაშინ ჩვენში დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს. თუ ბოლშევიკურ (კომუნისტურ) ტოტალიტარიზმს წყალი შეუდგა და იგი სულს ლაფავს, ეს იმიტომ, რომ გაკოტრდა საზოგადოების მოწყობის კომუნისტური იდეა, მაგრამ იქმნება შესაძლებლობა ახალი ტოტალიტარიზმის დამყარებისა, ამჯერად ეროვნული თავისუფლების სახელით. ამრიგად, საქართველოს უახლესი ისტორია გამდიდრდება ტოტალიტარიზმის უწყვეტელობით.

დიდებულია სწრაფვა ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიამ რამდენი მაგალითი მოგვცა ეროვნული განთავისუფლებისა, მაგრამ რიგი ქვეყნები (ცენტრალური აფრიკის "იმპერია", უგანდა, კამპუჩია, ახლახან ერაყი და ა.შ.) თავისუფლების მოპოვების შემდგომ არანაკლებ ხიფათში აღმოჩნდნენ, ვიდრე კოლონიალიზმის პირობებში. მაშასადამე, საჭიროა ეროვნულად განთავისუფლებულ საზოგადოებაში დემოკრატიული საზოგადოების იდეალების მყარად დაფუძნება. ეს ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენს წინაშეც.

ერთი სიტყვით, ჩვენი საზოგადოება არჩევანის წინაშე დგას: რაკი ავირჩიეთ უზენაესი მთავრობა, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა მთავრობა, აირჩევა ადგილობრივი თვითმმართველობა – ყველაფერი გარკვეულია და, შესაბამისად, ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, მორჩილად, შესიტყვებების გარეშე მივყვეთ ქვეყნის ხელმძღვანელობას; უზენაესი საბჭოსა და მთავრობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დღევანდელი პოლიტიკური ქმედებანი დიდ დაეჭვებასა და კრიტიკულ შეფასებას იწვევს. პირადად მე ძალზე მაეჭვებს პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღება. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში იგი საერთოდ არ ყოფილა, ხოლო სადაც იყო, დემოკრატიის თვალსაზრისით სულაც არ ყოფილა გამართლებული. დიდია შესაძლებლობა იმისა, რომ პრეფექტის ძალაუფლების სახით აღორძინდება რაიკომისა და ქალაქკომის მდივნების ყოვლისშემძლეობა. ასე ფიქრის საფუძველს მაძლევს ხალხის დიდი ნაწილის შესაბამისი შეგნება და განწყობილებანი.

ჩემი აზრით, "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის გაუქმებით საქართველოს უზენაესმა საბჭომ დიდი შეცდომა დაუშვა. რაკი მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება, გვეგონა, რომ ამაზე შეთანხმებული იყვნენ ჩვენი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მიხეილ გორბაჩოვი. მხოლოდ გაჩნდა შიში, თუ რის ფასად მოხდა ეს გარიგება. აღმოჩნდა, რომ მსგავსი შეთანხმება არ ყოფილა. მით უარესი ჩვენთვის. როგორც ჩანს, ცენტრს, იმპერიას ერთი სული ჰქონდა, ჩვენს ხელმძღვანელობას ეს ნაბიჯი გადაედგა. ამით გასჩენოდა ის კოზირი, რომლითაც საქართველოს აიძულებდა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. ასე აღვმოჩნდით ხაფანგში, საიდანაც სათანადო გამოსავალს ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, ცნობილია ყველაზე საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ არსებულ სიტუაციაში მისი განხორციელება შეუძლებელია. თუ გარემოებანი გვაიძულებენ, აღდგენილ იქნეს "სტატუს ქვო" (ავტონომიური ოლქის სახით). მაშინ კითხვა ისმის: რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი რაიმე ხელშესახები შედეგის გარეშე? დღევანდელი უზენაესი საბჭოს პირობებში ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვითარების მოწესრიგება მე არარეალურად მიმაჩნია. ვნახოთ, როგორ "ინებებს" ისტორია. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ვითარებაზე მეტი და მეტი ქართველობა უნდა დაფიქრდეს.

აღნიშნული ორი არჩევანისაგან რომელს ვამჯობინებთ, ეს დამოკიდებული იქნება თითოეულ ჩვენგანზე. მაგრამ არის სხვა "არჩევანიც": გავდგეთ განზე და ვუცადოთ არსებული ტენდენციების გამოკვეთას, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი აქტიურობა შემოვფარგლოთ ვიწრო წრეში საუბრით. სამწუხაროდ, ამგვარი განწყობილების ადამიანები ჩვენს საზოგადოებრიობაში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში, მრავლად არიან. ამით მტკიცდება, რომ თეიმურაზ ხევისთავს მრავლად ჰყავს შთამომავლობა დღევანდელ საქართველოში.

დღევანდელი ისტორიული სიტუაცია საქართველოში ძალზე რთულია და იგი ჩვენგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამასთანავე, გაბედულებასაც, რადგან, რისკის თვალსაზრისით, აღნიშნულ პოზიციებზე დადგომა ერთნაირი როდია. როგორიც არ უნდა იყოს თითოეული ქართველისა და საზოგადოების ცალკეული ნაწილების არჩევანი, საბოლოო აზრით, სასურველია ჩვენმა საზოგადოებრიობამ გაბატონებული ისტორიული ტენდენციის სახით დაამტკიცოს, რომ ღირსია ჩვენი წარსული ისტორიული პროცესისა, დიდი ისტორიული პიროვნებებისა და ცივილიზებულ ხალხთა ოჯახში ყოფნისა. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ქვეყნიერებას, რომ ეროვნული თავისუფლება ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც დემოკრატია, ადამიანის უფლებები, რომ, თუ საჭირო გახდა, დემოკრატიისათვის არანაკლებ მსხვერპლს გავიღებთ, ვიდრე ეროვნული თავისუფლებისათვის.

გურამ ყორანაშვილი

24.02.91

ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი: სად შეგვეშალა?

დღეს, როდესაც ყოველ ქართველს აწუხებს უსიამოვნო წინათგრძნობა, რომ სამაჩაბლოს შემდეგ შეიძლება აფხაზეთს ემუქრებოდეს საქართველოდან გამოყოფა (თუნდაც სამურზაყანოს გარეშე), აუცილებელი ხდება კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. მაგრამ ურჩეული კუთხიდან – ჩვენ ყოველთვის ვიმეორებდით საკუთარ გამართლებულ პრეტენზიებს, მაგრამ არც ერთხელ სერიოზულად არ დავინტერესებულვართ თუ რა დააკმაყოფილებდა მოწინააღმდეგე მხარეს და მშვიდობიანად აალებინებდა ხელს სეპარატიზმზე, რამდენად ფანტასტიურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ასეთი მიდგომა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ქართული საზოგადოებრიობის თვალში წამოტივტივდა 80-ან წლებში, როდესაც ცხადი გახდა აფხაზ კომუნისტ ხელისუფალთა მიერ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის სერიოზული დისკრიმინაცია. მაგრამ წინა წლებშიც, ოფიციალური დისკრიმინაციის დაწყებამდეც აფხაზთა დამოკიდებულება ჩვენს მიმართ არ იყო იდეალური, ისეთი, როგორიც კლასიკური ლიტერატურიდან ვიცით. ასე რომ 1978 წელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს კონფლიქტის დასაწყისად, რასაც სისტემატურად აკეთებენ პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი ხალხი.

დღეს ყველა მოაზროვნე ქართველ პატრიოტს ბუნებრივია უნდა დაებადოს კითხვა, თუ რატომ მოექცნენ აფხაზები ანტი-ქართული სეპარასტისტების გავლენის ქვეშ: ჩვენ ვიცით, თუ რატომ ვართ ჩვენ ნაწყენი აფხაზ კომუნისტ ხელისუფალთა მიმართ. ასევე გვაქვს გამართლებული პასუხიც "მესამე ძალის" მიერ წაქეზების შესახებაც, მაგრამ არაფერი ეს არ ხსნის მთავარს, თუ რატომ აჰყვნენ აფხაზები ამ გარეთა წაქეზებას. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ როდესაც არავითარი ხელისმოსაკიდი მიზეზი არ არის, ვერავითარი "მესამე ძალა" ასეთ კონფლიქტს ვერ გააჩაღებს. ხოლო ჩვენი კონფლიქტი დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობაზე იქნებოდა რამე სერიოზული ლაპარაკი.

აფხაზ სეპარატისტთა პოზიციების დეტალური შესწავლის შემდეგ პირობითად შემიძლია გამოვყო მათი პრეტენზიები სუბიექტურ და ობიექტურ დონეზე. სუბიექტურ დონეზე წინ სდგანან ემოციები, რომლებიც სამწუხაროდ საკმაო როლს თამაშობენ ჩვენს ურთიერთობებში.

ამ ეთნო-კონფლიქტში ემოციურ დონეზე მთავარი არის ე.წ. "ინგოროყვას თეორია". პროფესორი პ.ინგოროყვა ფართო ინტერესების მქონე ქართველი მკვლევარი გახლდათ და პატივისცემით სარგებლობდა სამეცნიერო წრეებში. მაგრამ ფართო მასებისათვის პ.ინგოროყვა ცნობილია როგორც მხოლოდ ერთი კონკრეტული იდეის ჩამომყალიბებელი აფხაზთა ეთნო-გენეზის შესახებ. ისი ნაკლებად დამუშავებული ჰიპოთეზა სპეციალისტებში საწინააღმდეგო გრძნობებს იწვევს, მაგრამ სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრიობას არაპროფესიონალებმა იგი მიაწოდეს როგორც დამტკიცებული წყალგაუვალი ფაქტი, რაც იგი არასოდეს არ ყოფილა და რითაც საბოლოო ჯამში მკვეთრად დაზიანდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი.

ამ ჰიპოთეზის არსი ყველასათვის ცნობილია – რომ დღევანდელი აფხაზნი (აფსუა – როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს) აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან მოვიდნენ მხოლოდ მე-17 საუკუნისათვის და მიითვისეს ამ ტერიტორიისა და მასზე მანამდე მცხოვრები ქართული ტომის სახელი. აქ მე არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რამდენად მეცნიერულია ეს თეორია, ვინაიდან ამის ადგილია აკადემიური ჟურნალების ფურცლები ან მეცნიერებათა აკადემიის კედლებში ამ დარგის სპეციალისტთა შეკრება. ჩემთვის, ერთა-შორისი ურთიერთობათა სპეციალისტისათვის მთავარია ამ თეორიის ზემოქმედება დღევანდელ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე – აქ კი შედეგი მხოლოდ უარყოფითია, რასაც ალბათ უკვე ბევრი ქართველი ხედება.

პირველ ყოვლისა ეს თეორია შეურაცხმყოფელია აფხაზებისათვის, ლახავს ამ ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობას, ვინაიდან ისტორიას ართმევს მათ – საბჭოთა ადამიანები შეეჩვივნენ ერის ისტორიის შეფასებას მისი სიგრძით და არა მისი შინაარსით! ამასთან ეს თეორია ბევრმა ისე გაიგო, რომ აფხაზები ლამის ქურდები იყვნენ, რომელთაც "სხვისი მიწა მიითვისეს". აქვე დავძენ, რომ ასეთ პრეტენზიებს არავინ არ უყენებს, ვთქვათ, თანამედროვე ეგვიპტელებს, რომლებიც სინამდვილეში არაბები არიან და ძველ ეგვიპტელებთან არაფერი აქვთ საერთო გარდა იმ მიწის სახელისა, რომელზეც ცხოვრობენ. ასე რომ, თუნდაც ერთი წუთით ინგოროყვას თეორიის სიმართლეც რომ დავუშვათ, საერთაშორისო სამართლით სამი საუკუნე საკმაოდ დიდ დროდ ითვლება და დემაგოგების ლოზუნგებმა მხოლოდ აფხაზეთის ქართველების ნაწილი შეიყვანა შეცდომაში, ხოლო საბოლოო ჯამში მთელი საქართველო დააზიანა!

ეგვიპტელების მაგალითი უნიკალური არაა – სინამდვილეში მსოფლიოში ძალიან ცოტაა ხალხები, რომლებიც ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობდენ მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. ხალხთა გადანაცვლება – ეს არის ნორმალური ისტორიული პროცესი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის პოლიტიკური მიზეზების გამო არასასურველი თემა იყო. ამიტომ როდესაც ზოგი ჩვენი უცოდინარი პოლიტიკოსი ამერიკელებს ეუბნებოდა, რომ "აფხაზები ამ მიწაზე მხოლოდ სამი საუკუნეა ცხოვრობდნენი", ამერიკელებისაგან, რომლებიც თავიანთ მიწაზე კიდევ უფრო ნაკლები ხანია რაც მოვიდნენ, მხოლოდ დამცინავ მზერას იღებდნენ.

ინგოროყვას ეს საკმაოდ მივიწყებული ჰიპოთეზა ვიღაცამ ამ ორიოდე წლის წინ ამოატივტივა გარკვეული პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად. იგი აიტაცეს "პერესტროიკის" გამო სოკოებივით მომრავლებულმა "პოლიტიკოსებმა", რომლებმაც ამ ჰიპოთეზის სისტემატური გამეორებით შეცდომაში შეიყვანეს და არარეალური წარმოდგენა შეუქმნეს აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას – რომ მათ ეროვნულ დისკრიმინაციის ბოლო მოეღებოდა ე.წ. "სტუმრების" ჩრდილოეთ კავკასიაში "დაბრუნების" შემდეგ. რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა...

ასევე ჩვენს ყველაზე ძლიერ არგუმენტს, რომ ქართველები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში ერთად, ძმურად ცხოვრობდნენ ერთიან საქართველოში – ეწინააღმდეგება სწორედ ეს თეორია: თუ ისინი, ინგოროყვას მტკიცებით, მართლა მე-17 საუკუნეში დასახლდნენ იქ, მაშინ აფხაზეთი უკვე აღარ იყო საქართველოს შემადგენლობაში, ვინაიდან ერთიანი საქართველო აღარ არსებობდა. ასევე იყო მე-18 საუკუნეში; მე-19 საუკუნიდან აფხაზეთი ცალკე გუბერნიის სახით შედის რუსეთის იმპერიაში, ისევე როგორც ჩვენც, ხოლო მე-20 საუკუნეში იწყება ყველაზე მტკივნეული პერიოდი და მათი პრეტენზიები ობიექტურ დონეზე.

არავინ არ იმსახურებს აფხაზი ერის ისეთ სიძულვილს, როგორც მის მიწაზე დაბადებული ქართველი ბოლშევიკი – ლ. ბერია, რომელმაც მათი აზრით "გენოციდი" მოუწყო აფხაზ ერს. ჩვენ რამდენიც არ უნდა მოვუყვანოთ მათ ფაქტები (რასაც მე სისტემატურად ვაკეთებდი თავისუფალ სამყაროს გასაგებად), რომ ბერიამ განუზომლად მეტი ქართველი მოსპო და გაცილებით უფრო დიდი ზიანი მიაყენა ქართველ ერს, ისინი ამ პიროვნებას ისეთი ემოციური სიძულვილით უცქერენ, რომ ძნელია რამის ახსნა.

მათი პოზიციაა, რომ ბერია და მისი დამქაშები აფხაზეთის ელიტის ფიზიკურად მოსპობის შემდეგ შეუდგნენ აფხაზური ენისა და კულტურის მოსპობას, განსაკუთრებით 1930-40-ან წლებში. მათ ეს ამბავი მთელ მსოფლიოს აცნობეს და ყოველი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ცდილობდა ეჭვს ქვეშ დაეყენებინა ამ ვერსიის თუნდაც მცირედი დეტალი (ეს კი სისტემატურად კეთდებოდა და კეთდება), ბერიას თანამოაზრედ ცხადდებოდა. აფხაზი სეპარატისტები იმასაც კი აცხადებენ, რომ ბევრი ქართველი დღესაც გულში ამართლებს ბერიას მიერ იმ დროს ჩატარებული აფხაზი ერის გაქართველების ცდას. მიუხედავად ქართველების მიერ სხვა ერების გაქართველებისადმი მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებისა (საკმარისია ვნახოთ ისტორიის ინსტიტუტი დღის ორ საათზე!)

დღეს ბევრი ქართველი ინტელიგენტი იმაზეც კი დაობს, რომ 40-ან წლებში ადგილი ჰქონდა აფხაზური ენის გამოდევნას და მის შეცვლას ქართულით, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მცირე ერების ენების მოსპობა იყო ოფიციალური საბჭოთა პოლიტიკა და მას ადგილი ჰქონდა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – ეს ჩვენი, დამონებული საქართველოს გამოგონება არ გახლდათ და არაფერი გვაქვს სასირცხვილო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა პერიოდში რუსეთმა "ჩაყლაპა", ანუ ასიმილაცია გაუკეთა ათობით მცირე ერს, ე.ი. რუსეთის საოცრად სწრაფი დემოგრაფიული ზრდა ხდებოდა მცირე ერების ასიმილაციის ხარჯზე. უმეტეს შემთხვევაში ამ მცირე ერების ენებს პირდაპირ რუსულით ცვლიდნენ, მაგრამ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში (აფხაზეთი ერთერთი მათგანი იყო) ითვალისწინებდნენ გეოპოლიტიკასაც და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ იმპერიული მისიის შესრულება დროებით ევალებოდა იმ ტერიტორიაზე ისტორიულად გაბატონებულ ენას.

ეს პერიოდი აფხაზეთში დამთავრდა 1954 წელს, როდესაც აფხაზეთის ჯერიც დადგა და ყველაფერი გადაყვანილი იქნა რუსულ ენაზე – დაიწყო ფარქარებული რუსიფიკაცია. ამას კი ხელი შეუწყო იმან, რომ 40-წლებში ბოლშევიკებმა ნაძალადევი "გაქართველების" ცდით აფხაზთა დიდ ნაწილს ისე შეაჯავრეს ქართველები, რომ რუსიფიკაცია მათ "ნაკლებ ჭირად" მიიჩნიეს. ეს იყო ცენტრის წინასწარ განზრახული ვერაგი გეგმა, რომელმაც იმპერიისათვის სასურველი შედეგები გამოიღო.

რა შეიძლება გვეთქვა "ბერიას მიერ მოწყობილ აფხაზი ერის გენოციდზე"? ჩვენ შეგვეძლო გაუთავებლად გვედავა დეტალების შესახებ, რასაც სისტემატურად ვაკეთებდით და... საბოლოო ჯამში წავაგეთ კიდეც! ასევე შეგვეძლო კი არ გვედავა გენოციდის ფაქტის შესახებ, არამედ მხოლოდ დაგვეზუსტებინა, რომ ბერია და მისი დამქაშები ამას ჩადიოდნენ არა ქართველი ერის, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს სახელით, რომ ქართველ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ ეროვნება, ვინაიდან ბოლშევიზმის იდეოლოგია გამორიცხავს ეროვნულობას!

იმის გამო, რომ ჩვენ ეჭვს ქვეშ დავაყენეთ ქართველ ბოლშევიკთა მიერ მოწყობილი გენოციდის ფაქტი, აფხაზ სეპარატისტებს მივეცით საშუალება ეჭვს ქვეშ დაეყენებინათ ჩვენთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობაც კი! არის კიდევ ერთი ფაქტორიც – საბჭოთა სინამდვილემ და სუვერენიტეტის უქონლობამ ჩვენ დაგვავიწყა ჩვენი მორალური ვალდებულება საქართველოში მცხოვრებ მცირე ერების მიმართ – ბუნებრივია, რომ ამორალიზმზე აწყობილ წყობაში "მორალური ვალდებულება" ცარიელ ფრაზად რჩება.

ბოლო ხანებში გავრცელდა აზრი, თითქოს აფხაზეთის პრობლემა გადაუჭრელი ყოფილიყოს. საბედნიეროდ ეს ასე არ არის – საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან ეთნო-კონფლიქტების მოსაწესრიგებლად ხომ ბევრი რამ არ არის საჭირო: მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტები შეიძლება გარედან იყვნენ წაქეზებულნი, უნდა მოწინააღმდეგესაც მოვუსმინოთ, გავერკვეთ მის აზროვნებაში, არგუმენტებში, როდესაც საჭიროა, ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და, რაც მთავარია, გავითვალისწინოთ, რომ მცირე ერებს ჩვენზე კიდევ უფრო მტკივნეული ფსიქიკა აქვთ და სულ ადვილად შეიძლება მათი შეურაცხყოფა, რაც არამც და არამც არ უნდა დავუშვათ. მაგრამ მთავარი კი ის არის, თუ როგორ ავუხსნით, რომ ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ შეიძლება ვიყოთ მათი ეროვნულობისა და თავისუფლების გარანტი! მაგრამ თუ ჯერ ჩვენი თავი არ დავაჯერეთ ამაში, სხვას როგორ დავაჯერებთ...

ჩემი რწმენით როგორც კი საქართველოს ექნებოდა მოქალაქეობის კანონი და პასპორტსა თუ ანკეტებში აღარ იქნებოდა აღნიშნული საქართველოს მოქალაქის ეროვნება, აფხაზეთში აღარ იქნებოდა ურთიერთ დისკრიმინაციის ერთერთი მთავარი საშუალება. მაგრამ საქართველოსათვის ამ ერთერთ ყველაზე გადაუდებელ და აქტუალურ ამოცანაზე – მოქალაქეობის კანონის მიღებაზე – დღევანდელ ხელისუფალთ დემაგოგიური ეთნო-დემოგრაფიული ლოზუნგებით ფეხი აითრიეს. ამიტომ მოქალაქეობის კანონის უქონლობის გამო ეროვნული კონფლიქტების შესაძლო კერებსაც სულ პატარა ასანთი თუ სჭირდება, ხოლო ასანთთან თამაშს კი ზოგიერთი მაღალ სავარძელს მიღწეული ვერ იქნა და ვერ გადაეჩვია!

ყველაფერი ზემოთთქმულიდან ცხადია, რომ ზნეობრივ ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა აფხაზეთს შეგვინარჩუნებდა, ხოლო "მეგაფონის დიპლომატიას" მხოლოდ ძმათა-შორისი უაზრო სისხლისღვრა, ლტოლვილთა პრობლემა და საქართველოს დანაწევრება მოსდევს. ამას-კი ისტორია არ გვაპატიებს!

რამაზ კლიმიაშვილი

თბილისი,
1991 წლის მაისი

ბატონი აკაკის საპირველაპრილო ოხუნჯობანი

პატივცემულ მკითხველს თავიდანვე უნდა მოვახსენოთ, რომ აქ ლაპარაკი იქნება არა ჩვენს სულმნათ მგოსანზე, რომლის ენამოსწრებულობაზე ლეგენდები დადის, არამედ ბ-ნ აკაკი ასათიანზე და მის "ენამოსწრებულობაზე" მიმდინარე წლის 1 აპრილს სასტუმრო "მეტეხში" გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოში ა.წ. 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისადმი. მან უპასუხა უცხოეთისა და საქართველოს პრესის წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ამავე დროს მან განმარტა, თუ რას ნიშნავს ოპოზიცია. სწორედ ეს იყო პირველი ოხუნჯობა: მონობაში და დიქტატურაში გაზრდილმა კაცმა თავისუფალი სამყაროს შვილებს დაუწყო სწავლება იმისა, თუ რა არის ოპოზიცია, რომ არსებობს საპარლამენტო ოპოზიცია, პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიცია და კიდევ "აი" ასეთი ოპოზიციაო, და მან ხელი გაიშვირა სასტუმროს გარეთ მყოფი დემონსტრანტებისაკენ, რომლებიც იმდენად "გაკადნიერდნენ", რომ სასტუმროს ფანჯრებს გარედან პლაკატები მიაფინეს – "ძირს დიქტატურა" და "პოლიტპატიმრებს დაუყოვნებლივ განთავისუფლება" (ინგლისურ ენაზე). ბ-ნმა აკაკიმ აქვე იხუმრა, რომ სწორედ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, ჩვენ დიქტატორები კი არა, ნამდვილი დემოკრატები ვართო. მაგრამ ეს ხუმრობა მწარე ირონიად გადაიქცა, როდესაც ფანჯრებს მილმა "ეროვნული" მილიცია და "ეროვნული" სუკ-ი უხეშად შეეცადა გარედან მომდგარი მოპიკეტეების დაშლას.

ბ-ნ ირაკლი ქადაგიშვილის შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს ბ-ნმა აკაკიმ აღნიშნა, რომ მას ეროვნული კონგრესი მიაჩნია არა როგორც ერის მიერ მინიჭებული უფლებით აღჭურვილი ორგანო, არამედ აღიქვამს მას, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას. ესეც კარგია. ბ-ნ ზვ. გამსახურდიას ხომ კონგრესი კრიმინალურ ორგანიზაციათა გაერთიანებად მიაჩნია!

ჩემი პირველი შეკითხვა, რომელმაც მის ოხუნჯობას ფრთები შეასხა, ასეთი იყო: თქვენ ახლახან განაცხადეთ, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესი მიგაჩნიათ პოლიტიკურ ორგანიზაციად (რაზეც მადლობას მოგახსენებთ), ამავე დროს დღესდღეობით საქართველოში 70-მდე პოლიტპატიმარია, მათ შორის კონგრესში გაერთიანებული პარტიების წევრები. რამდენად დემოკრატიულად მიგაჩნიათ ეს ფაქტი?

პასუხი: ისინი პოლიტპატიმრები არ არიან, ისინი კრიმინალები არიან.

– ბ-ნო აკაკი, თქვენ ამის თქმის უფლება არა გაქვთ, ვიდრე სასამართლოს არ დაუდგენია მათი დანაშაული.

პასუხი: ჩვენ თუ გვადანაშაულებთ, პოლიტპატიმრები გყავთო, ჩვენს მიმართაც ხომ უნდა იყოს დაცული უდანაშაულობის პრეზუმპცია.

აი, ასე გაწიწმატდა და უხეიროდ იოხუნჯა ბატონმა აკაკიმ. იქ პოლემიკას მოვერიდე, ეხლა კი მოგახსენებთ, ბატონო აკაკი, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრების დაჭერა, იმ პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელსაც ოპოზიციად აღიარებთ, დემოკრატიის თვალსაზრისით პოლიტიკური დანაშაულია. თქვენი დანაშაული სახეზეა, ამას მტკიცება არ სჭირდება და, ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმპცია თქვენზე არ ვრცელდება. პოლიტიკური პატიმრების კრიმინალებად და გიჟებად გამოცხადება დიქტატორული რეჟიმის პირველი ნიშანია. კომუნისტებიც ასევე იუმორის გრძნობის გარეშე აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰყავდათ პოლიტპატიმრები. ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეს (დღეს უკვე თავმჯდომარეს!) არა აქვს უფლება პატარა ბავშვივით გაჯიუტდეს – აი, შენ რომ ამას მაბრალებ, მე ამას დაგაბრალებო. ლოგიკა რთული მეცნიერებაა და ის განსაკუთრებით პოლიტიკურ სარბიელზე შემდგარ კაცს სჭირდება დიდი დოზით. აქ ოხუნჯობით იოლად ვერ გავალთ.

მეორე შეკითხვამ სადაო გახადა, ვინ ოხუნჯობდა, – ზვიად გამსახურდია, ბორის ელცინი თუ საბჭოთა არმია. შეკითხვა ასეთი იყო: რას ნიშნავს ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას ყაზბეგის შეხვედრაზე მიღებულ ოქმში ჩაწერილი – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა? რა იგულისხმება მასში? (არ დაგავიწყდეთ, მეგობრებო, რომ პრესკონფერენცია მიმდინარეობს პირველი აპრილის საღამოს, ხოლო იმავე ღამეს საბჭოთა არმიის დამატებითი კონტინგენტი შევიდა ცხინვალში!).

პასუხი ასეთი იყო: ამჟამად იქ არავითარი ხელისუფლება არ არის. საჭიროა პრეფექტის ხელისუფლების შექმნა.

ჩემი რეპლიკა: მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ფორმულირება, რომელიც ოქმშია მოყვანილი, არაზუსტია და მოითხოვს განმარტებას.

პასუხი: გეთანხმებით, მაგრამ ოქმი კანონი არ არის, ის შეიცვლება.

ბ-ნ აკაკის შეიძლება შეეფერებოდეს ეს პასუხი, მაგრამ არა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (ახლა თავმჯდომარეს!). გამოდის, რომ არ ვიცოდით, რას ვაწერდით ხელს. და ეს რომ ასეა, მომდევნო ამბებმა დაამტკიცა – რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ყრილობის გადაწყვეტილებამ სამხრეთ ოსეთის თაობაზე და საქართველოში დამატებითი სამხედრო ძალების შემოყვანამ. ეს ხომ არ იგულისხმებოდა სიტყვა "აღდგენაში"? სამწუხაროა, როცა ასეთ "ოხუნჯობებს" მრავალი ადამიანის სიცოცხლე მიაქვს.

საოცარ წინააღმდეგობაში ვარდება ზემოხსენებული ოქმის ქართული მხარე, როდესაც ოქმის მე-4 პუნქტით მოითხოვს ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანას. თქვე დალოცვილებო, ამოიღეთ საგანგებო მდგომარეობის კანონის მე-11 მუხლიდან ის უფლება, რაც თქვენ დააკისრეთ საკავშირო შინაგან საქმეთა შეიარაღებულ ძალებს, რათა მათ არეგულირონ საგანგებო მდგომარეობა. საკუთარი ყელის გამოსაჭრელი დანა აულესე და მტერს გადაულოცე, ეხლა ეუბნები დანა გააგდე ხელიდანო? არ იცით, ვისთან გვაქვს საქმე? ისტორიამ არაფერი არ უნდა გვასწავლოს? მოდით, ხუმრობა იქით იყოს და ვაღიაროთ, რომ არ გვეყო არც პრინციპულობა, არც ზნეობა, არც დიპლომატია, არც გამოცდილება (აბა საიდან?) – ამას ერთი სიტყვით არაკომპეტენტურობა ჰქვია. მოდით, ყური ვათხოვოთ ოპოზიციასაც, არა მარტო იმ ოპოზიციას, ბ-ნ ნიქსონს რომ შეახვედრეთ. ჭეშმარიტი ეროვნული ოპოზიცია (დიახ, ეროვნული ოპოზიცია) გაერთიანდა "დემოკრატიული ტრიბუნის" სახელით. მოდით, ბატონო, და ერთად ვიფიქროთ ეროვნულმა პარლამენტმა და ეროვნულმა ოპოზიციამ, როგორ ვუშველოთ და მოვუაროთ საქართველოს.

აქვე არ შემიძლია პასუხი არ გავცე ქ-ნ ნინო კვიტაიშვილს წერილზე "გაცხადებული ნება" ("ლიტ. საქართველო", 5.04.91), სადაც მან ოპოზიციის 1 აპრილის მოქმედებას უწოდა "უადგილო და არაფრისმთქმელი". აქვე დაგვიწუნა დრო და გამოხატვის საშუალებანი.

"უადგილო"? – ვერ ვიტყვით, რომ უადგილო იყო, ვინაიდან ოპოზიციას თავისი პოზიციის გამოსახატავად და მისი რეკლამისათვის სხვა საშუალებები მოუსპო ნეობოლშევიკურმა დიქტატურამ.

"არაფრისმთქმელი"? – ესეც მცდარი აზრია, ვინაიდან ყველაფერი ვერა, მაგრამ სათქმელის ნაწილი ითქვა და გამგონემ გაიგო.

"დრო"? – მე თუ მკითხავთ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დრო სწორად იყო შერჩეული, რადგან რეფერენდუმში წარმატებამ ქართველი ერი ეიფორიაში არ უნდა ჩააგდოს.

"გამოხატვის საშუალებანი"? – რას იზამ, ჩვენც არ მოგვწონს, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია.

ასე რომ, საქმე სახუმაროდ აღარ გვაქვს, ბატონებო!

ლერი გოშაძე
8.04.91

კარაქი, თავისუფლება და ხელისუფლება

საბჭოთა იმპერიის ცენტრი რესპუბლიკებად წოდებულ სხვადასხვა კოლონიათა მიმართ მოდერნიზაციის მეტად მოქნილ პოლიტიკას ახორციელებს. იგი შესანიშნავად ერკვევა მათში მიმდინარე რთულ პროცესთა ნიუანსებში და აქედან გამომდინარე, მათდამი მიდგომაც ინდივიდუალურია. მაგალითად, იმას, რასაც მოსკოვი კოლონია-აზერბაიჯანში ჩაიდენს, არაფრით კოლონია-საქართველოში არ გააკეთებს. ცენტრის სპეციალისტები კარგად არჩევენ აზერბაიჯანელის, ქართველისა და სომხის ფსიქიკურ წყობასა თუ ბუნება-განწყობას.

ზემოაღნიშნულის ნათელი დასტურია საბჭოთა რეფერენდუმის შედეგები ამიერკავკასიაში. ავილოთ მაგალითად აზერბაიჯანი, სადაც დამყაყების ეპოქის ნაცარმიყრილმა "თვალსაჩინო" მოღვაწემ ჰაიდარ ალიევმა სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. კოლონიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მონური მორჩილებით შესციცინებს ყოფილ ფაშას. უფრო მეტიც, რეფერენდუმის შემდეგ ალიევმა აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს სესიაზე, რომელზეც საკავშირო რეფერენდუმის ფალსიფიკაციაზე იყო ლაპარაკი, დიდად დაადანაშაულა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტია ანტიეროვნულ პოლიტიკაში (!). მან თქვა, რომ კომუნისტებმა კვლავაც მოატყუეს ჩვენი ხალხიო, და რომ რეფერენდუმში ხმის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 20-25% მონაწილეობდა და მათ შორისაც, ვინც საარჩევნო ყუთებთან მივიდა, დიდი ნაწილი შეცდენილი, ბოლშევიკთაგან მოტყუებული იყო, რამეთუ ამ შაითნებს გულუბრყვილო აზერბაიჯანელთათვის 2-2 კგ კარაქის ტალონები (ყიდვის უფლება) დაურიგებიათო. როგორც ჩანს, ამ საფასურად კოლონიის მოსახლეობა სიამოვნებით ამლევდა ხმას იმპერიის არსებობას.

საქართველოში კი ცენტრი კარაქით და თუნდაც ხიზილალით ან ნიგვზით მოსახლეობას ვერ მოატყუებდა. კრემლს აქ სხვა "საჩუქრით" უნდა გაებედნიერებინა დაჩაგრული კოლონიის მოსახლეობა. ქართველი 2 კგ კარაქში არ გაცვლის თავის "დამოუკიდებლობას". და მართლაც, 9 აპრილის მორიგ სესიაზე ჩვენ უშურველად შემოგვთავაზეს "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი", ანუ "დამოუკიდებლობის გაუნაღდებელი ტალონი" – ჭეშმარიტი თავისუფლების გარეშე. აი, რა ცოტაა ხალხისათვის ხაკმარისი, – ნება [illegible], რამდენი სიხარულის ცრემლი დაიღვარა იმ დღეს თბილისის ქუჩებში, რამდენი იხუტებოდა და [illegible] კოლონიის [illegible] მოსახლეობა! [illegible]

[illegible]

[illegible] კოლონია კი კოლონიად დარჩა.

ვაჟა ჯაყიშვილი

ი უ მ ო რ ი

ახალი მესია

შიმშილითა შიმშილისა დამთრგუნველი...

მეტამორფოზა

იყო:
"მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო".
არის:
თავისუფალი მაგიდა – მრგვალი საქართველო.

კუკური ფურცელაძე



კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება დაჰკარგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ. 55 წლის ასაკში გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ქარელის განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნი კუკური ფურცელაძე.

ბ-ნი კუკური ჩვენს სულნათელ ზურაბ ჭავჭავაძეს მისმა უახლოესმა მეგობარმა ბორის კუპრაშვილმა გააცნო. ბ-ნი კუკური მძიმე ტრამვის შემდეგ თბილისიდან მშობლიურ სოფელ კეხიჯვარში იყო გადმოსული, რათა იქ ყოველდღიური ვარჯიშით აღედგინა ჯანმრთელობა. ზურაბიც ხშირად ჩადიოდა კეხიჯვარში, იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სამივენი და საქვეყნო ჭირ-ვარამზე საუბრობდნენ კეთილ მასპინძლის ოჯახში... მერე ბორის კუპრაშვილი გარდაიცვალა... მერე ზურაბიც დაიღუპა... რაოდენ მწარე იყო ყოველივე ეს ბ-ნი კუკურისათვის!.. ახლა ბ-ნი კუკურიც შეუერთდა მათ ზეციურ საქართველოში...

გამჭრიახი გონების, ძლიერი სულის პატრონი იყო ბ-ნი კუკური. ავტორიტეტიც დიდი ჰქონდა. ეკითხებოდნენ, უსმენდნენ, სჯეროდათ მისი. ძლიერ განიცდიდა დღევანდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით ხელოვნურად გამწვავებულ ეთნოკონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. დიდად აფასებდა განსვენებული ზურაბ ჭავჭავაძის კეთილშობილურ და, ამასთან, უაღრესად საჭირო მოღვაწეობას ამ კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ქარელის რაიონშიც ხომ ბლომად ცხოვრობენ ოსები, რომელთა უმეტესობა გაქართველებულია, ქართულ პოზიციაზე დგანან, შერეული ოჯახები აქვთ. ბ-ნი კუკური ხედავდა, თუ როგორი თავგამოდებით ცდილობდა ქართველობის ერთი უგნური და, სამწუხაროდ, გავლენიანი ნაწილი მათშიც გაეღვივებინა ეთნიკური შუღლი, ნაცვლად იმისა რომ მტრულად განწყობილი ოსები მოეყვანათ გონზე, დაენახვებინათ მათთვის ნამდვილი მტერი და აღედგინათ ორივე მხარისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯანსაღი, მშვიდობიანი ურთიერთობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი უსიამოვნებაც შეხვდა ბ-ნ კუკურს. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ უსიამოვნებათა ლოგიკური შედეგი იყო მისი ინფარქტი...

საერთოდ, ბ-ნი კუკური მძიმედ განიცდიდა ზნეობრივი კრიტერიუმების გაუფასურებას, ძალზე შეშფოთებული იყო დღევანდელ გაპოლიტიკანებულ საქართველოში ჭეშმარიტი სათნოების, სიყვარულის, ერთგულების, მადლიერების მწვავე დეფიციტით; საქართველოში, სადაც ლამის ზენიტს მიაღწიოს მასიურმა ფსიქოზმა და მის საფუძველზე წარმოშობილმა, უახლეს წარსულში კარგად ცნობილმა ფსევდოსიყვარულმა, ფსევდოერთგულებამ, ფსევდოსათნოებამ... მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ ყოველგვარ "ფსევდოს" ბოლოს და ბოლოს შეცვლიდა ყოველივე ჭეშმარიტი, რისი გვირგვინიც იქნებოდა ეროვნული და პიროვნული თავისუფლება...

ველარ მოესწრო...

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს!

ანზორ აბჟანდაძე

მაგალითად – საქართველო

მარტის მიწურულს თბილისში უკვე იგრძნობა საგაზაფხულო განწყობა. პა.და პა, დაუბერავს გაზაფხულის მაუწყებელი ქარი. ქალაქის მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, ზედ უზენაესი საბჭოსა და ოპოზიციური პარტიის შენობების წინ ბლომად ხალხს მოუყრია თავი. დროდადრო კამათი მწვავდება – ჩანს, რომელიღაც მოკამათე ამჟამინდელი მთავრობის პოზიციას ამართლებს. მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ საკუთარი აზრის გამოთქმისა აღარავის ეშინია. მილიცია (ქართული) და ჯარი (საბჭოთა) არსად ჩანს. აგერ, პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ შექმნილი ეროვნული გვარდიის სამმა მეომარმა ჩაიარა. უხეშ მუნდირებში გამოწყობილ ახალგაზრდებს მხოლოდ პისტოლეტები ჰკიდიათ. სამორიგეოდ გამოსულებს არ ჰგვანან, ღვინის დასალევად მიმავალი ყმაწვილკაცები უფრო გეგონებათ. გამვლელები მათ დამცინავად ესალმებიან, გესლიან სიტყვებს ესვრიან.

სკვერში, მეგლის წინ, კარავი გაუშლიათ. აქ თავი მოუყრია ორგანიზაცია "მხედრიონის" წევრებს, რომელთა ბანაკსაც კომკავშირის ყოფილ ცენტრში თავს დაესხა საბჭოთა ჯარის ნაწილები. "მხედრიონის" წევრები არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნებიან. ისინი მხოლოდ საქართველოს ემსახურებიან და ოპოზიციის, დემოკრატიული წესით არჩეული სახალხო კონგრესის დამცველის როლს ასრულებენ. მისი ექვსი წევრი თავდასხმისას დაჭრეს (ოპერაციაში 40 ჯავშნოსანი მანქანა მონაწილეობდა), რამდენიმე ათეული კი დაიჭირეს. მათ შორისაა მეთაური – 60 წლის დრამატურგი და თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი ჯაბა იოსელიანი. მის წასაყვანად 60 კაცისაგან შემდგარი ნაწილი მისულა. ეს უჩვეულო კაცი, თავის დროზე, მაფიის "ნათლიმამად" ითვლებოდა, თხუთმეტი წელი საპატიმროსა და ბანაკებში გაატარა, იქიდან გამოსვლის შემდეგ შესანიშნავი დისერტაცია დაწერა და სისტემასთან ბრძოლის მეთოდი შეცვალა. დღეს იგი ერთ-ერთ სახალხო გმირად ითვლება.

უზენაესი საბჭოს შენობის წინ, ორი სხვა კარავია გაშლილი. აქ, ისევე როგორც სხვაგან სასტუმროებში, სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილი ქართველები მოთავსებულან. აქ არის ასეთი ლოზუნგი: "გვიხსენით ოსი ბანდიტებისაგან". მათ საკმაოდ გულგრილად უყურებენ. ხელისუფლება ოსეთის საქმეს ალვივებს; ოპოზიცია მას დივერსიად მიიჩნევს, რათა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნაცვლად მთელი გულისყური მისკენ იქნეს მიპყრობილი და საბჭოთა ჯარის იქ ყოფნაც ამით იქნეს გამართლებული. იმასაც ამბობენ, რომ შეიარაღებული ოსური ბანდები ჯარის ნაწილთა ბანაკიდან მოქმედებენო.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, უძლიერესი ოპოზიციური პარტიის შენობაში ამ პარტიის ლიდერთან გიორგი ჭანტურიასთან ერთად ჭათვალიერებ ღამეული თავდასხმის შედეგს. კარი ავტომატის ჯერითაა დაცხრილული, ნატყვიარები ემჩნევა კედლებსა და ჭერს. ჩანს, საბუთებს ეძებდნენ. შენობაში მყოფი ორი ახალგაზრდა კაცი სასტიკად უცემიათ. მათ დაუნახავთ ვისი მეთაურობითაც მოქმედებდნენ თავდამსხმელები. იგი უზენაესი საბჭოს მართლმსაჯულების კომისიის თავმჯდომარეა. ახალგაზრდა კაცებს უმეტესწილად შავი ტყავის ქურთუკები აცვიათ, წითელი შარფები და შავი სათვალეები უკეთიათ. ისინი სამოციანი წლების იტალიური ფილმის გმირებს მოგაგონებენ. ნუთუ მხოლოდ ამიტომ მახსენდება სიცილია?

24 თებერვალს XII საუკუნის ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სარესტავრაციოდ საბურველჩამოფარებულ ძეგლთან მოეწყო საქართველოში საბჭოთა ჯარების ყოფნის საპროტესტო გამოსვლა. ოფიცერთა თანხლებით აქ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი, გენერალი სკორი მოვიდა. თავისი სიტყვა მან "ამხანაგებო"-თი დაიწყო. "ამხანაგებო" კი არა, "ბატონებო"-ო, შეუსწორეს. გენერალი კოპებშეკრული კითხულობს ქაღალდზე დაწერილ სიტყვას, ხელები უთრთის, საბჭოთა ჯარების აქ ყოფნას თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმით ხსნის და შემაღლებული ადგილიდან ჩამოსულს ხალხის ხარხარი მიაცილებს. ეს სრულიად ახალი რამ არის. მოგვიანებით ათიათასკაციანი მსვლელობა იწყება. უზენაესი საბჭოს შენობის წინ პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დაახლოებით ორიათასკაციანი ჯგუფი დგას. მათ უკან სააპარადო ფორმაში გამოწყობილი მილიციელები ჩამწკრივებულან. საბჭოს მოპირდაპირე შენობის აივნიდან მრისხანე შეძახილები ისმის. ხალხი პოლიტპატიმრების განთავისუფლებას მოითხოვს (დაახლოებით 70 პოლიტპატიმრისას). პრეზიდენტის მისამართით გაისმის შეძახილები: "ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ!" ორივე მხრიდან ისმის სტვენა და ლანძღვა-გინება, მაგრამ საქმე ხელჩართულ შეტაკებამდე არ მიდის. ოპოზიცია ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდს ამჯობინებს. რა იქნება შემდეგ? ნუთუ შესაძლებელი იქნება სრული თავისუფლების მოპოვება მშვიდობიანი გზით? ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ საქართველო მოსკოვზე დამოკიდებულ ავტოკრატიულ დესპოტად იქცევა? მეტოქენი ერთმანეთს კრემლის აგენტებად ნათლავენ. პრეზიდენტი გამსახურდია და მისი პარტია "მრგვალი მაგიდა" ოპოზიციას კინკლაობასა და კრიმინალურ საქმიანობაში სდებს ბრალს. "მაფიოზური ჯგუფები წაგებულ პოლიტიკოსებს შეუერთდნენ და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშით გამოდიან", – თქვა მან "კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ოპოზიცია თვლის, რომ ამჟამინდელი ცვლილებები ზედაპირულ ხასიათს ატარებს. აღდგა ჰიმნი, ღერბი და დროშა. "საბჭოთა" მილიციას "ეროვნული" დაარქვეს, სუკ-ს სახელი გამოუცვალეს, რაიკომის მდივნების ნაცვლად "პრეფექტები" დანიშნეს. დარჩა საბჭოთა ჯარი და ძველი კონსტიტუცია. მოქმედებს "გამყოფი ხაზი" და ნომენკლატურა თავისუფლად ითვისებს სახალხო ქონებას. არც საკოლმეურნეო მიწები დაურიგებიათ გლეხებისათვის. თითქოსდა ჭილაცამ განახორციელა პრინციპი: ბევრი რამე უნდა შეცვალო, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

ლეხ იერმიკი

(პოლონური ყოველკვირეული ჟურნალი "სპოტკანია", № 12-13, 1991 წ.)

ეროვნული მრჩევლები?

პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის მრჩეველმა, მარშალმა ახრამეევმა განაცხადა, რომ ერაყთან ბრძოლაში აშშ-ს წარმატებას დიდად შეუწყო ხელი სსრკ-მ. იგი მოკავშირეებს სისტემატურად აწვდიდა ყველა საჭირო ინფორმაციას და მონაცემებს ერაყის სამხედრო ძლიერების შესახებ. მაგალითად, ჩვენ დავარწმუნეთ აშშ იმაში, რომ სადამ ჰუსეინის სახმელეთო ჯარების განადგურება პირდაპირი შეტევით დიდ რისკთან იყო დაკავშირებულიო – შენიშნა საბჭოთა მარშალმა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს მოკავშირეებმა, რომ მხოლოდ მასირებული დაბომბვების შემდეგ განეხორციელებინათ სახმელეთო შეტევა ერაყელებზე.

საერთოდ ძნელია ირწმუნო მარშალ ახრამეევის გულწრფელობა ამ სფეროში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სსრკ-ს ნეიტრალიტეტმა ანუ მდუმარე მხარდაჭერამ ბევრად განაპირობა მოკავშირეთა საბოლოო გამარჯვება. ძალაგამოცლილი ურჩხული იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო იმის მიუხედავად, რომ ერაყის არმია მისი ტექნიკით იყო აღჭურვილი, ხოლო როგორც ახრამეევი ამბობს, საბჭოთა რჩევით წარმოებულ დაბომბვებში ერაყში მომსახურე მრავალი სამხედრო და სპეციალისტიც მოჰყვებოდა უთუოდ, ისინი ხომ დღემდე რჩებიან სადამ ჰუსეინის სისხლიანი რეჟიმის მხარდამჭერებად მახლობელ აღმოსავლეთში.

სუკ-ის ხელდასხმით?

საინტერესოა, რომ ქართველ რადიომსმენელთათვის ყოველდღიური და უკვე შინაური "პიკის საათის" დამაარსებელი ამ თვრამეტიოდე წლის წინ საქართველოს სუკ-ი დაინაური ყოფილა. სხვათა შორის, ეს ფაქტი "პიკის საათის" ვეტერანმა წამყვანმა ბ-ნმა ვახტანგ ნანიტაშვილმაც დაადასტურა საიუბილეო დღეს ეთერში გასვლისას. ცხადია, უშიშროების კომიტეტი მაშინ ქართველ მსმენელზე და საინფორმაციო გადაცემების გაუმჯობესებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ მას სურდა, რომ "პიკის საათის" დროში "ამერიკის ხმის" ქართული გადაცემები გადაეფარა. ასე შეიქმნა მაშინ საქართველოს რადიოსათვის ესოდენ უჩვეულო საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა.

რა როლს ასრულებდა და ასრულებს ეს სამსახური ქართველი საზოგადოებრიობის სწორად ინფორმირების (თუ დეზინფორმირების) საქმეში, ეს უთუოდ მომავალში გაირკვევა. ერთი კი ფაქტია, "პიკის საათი" ახალ ხელისუფლებასაც ისეთივე ხალისით ემსახურება, როგორც მის შემქმნელებს ემსახურებოდა.

მიწისძვრა საქართველოში

29 აპრილს, ორშაბათს, 13 საათსა და 13 წუთზე დიდი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს. ძლიერმა მიწისძვრამ გველეშაპივით წამებში შთანთქა ასობით ადამიანის სიცოცხლე, დაასახიჩრა და უსახლკაროდ დატოვა ათიათასობით კაცი. თვითმხილველთა თქმით, მიწის ზედაპირი აღელვებულ ზღვას დაემსგავსა, სკდებოდა, ღმუოდა და ბოლავდა დედამიწა. განუფხულითა და სიცოცხლით აღვსებული რაჭა-იმერეთი უცებ იქცა ჯოჯოხეთად. ფეხზე დგას დამწუხრებული ქართველობა, დახმარების ხელს გვიწვდიან კეთილი მეზობლები, მსოფლიოს ლეთისნიერი საზოგადოებრიობა. ქართველი ერი ჭირში შემართულია და ეს იმედს აღვივებს სამომავლოდ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დასავლეთ საქართველოში მოხდა ტექტონიკური ხასიათის, რიხტერის შკალით 7,2 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. სპიტაკში იგი 6,8 ბალს, ხოლო სან-ფრანცისკოში გასულ წელს 7,1 ბალს აღწევდა. იმერეთში მიწის ქერქის მოძრაობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

არ ვიცით, რით ვანუგეშოთ ჩვენი მკითხველი. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ასეთი სტიქიური უბედურების შემთხვევებში ჩვენი წინაპრები დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტს იძლეოდნენ ხოლმე: "მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა: სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა..."

ღმერთმა გაანათლოს დალუპულთა სულები და აცმაროს ქართველ ერს მის თავს დატეხილი ეს უდიდესი განსაცდელი, რამეთუ დიდ განსაცდელს იგი იმ ერს მოუვლენს, რომელსაც გამორჩეული მისია ეკისრება დედამიწაზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და გაზ."ივერიის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს დალუპულთა ოჯახებს და მთელ ქართველ ერს მომხდარი ტრაგედიის გამო. ჩვენც მრავალთა მსგავსად ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რათა ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ ჩვენს ხალხს ეს დიდი ტკივილი.

ღვთისმშობელი ჰფარავდეს მის წილხვედრ საქართველოს.

უბედურებამ მაინც გამოგვაფხიზლოს

კიდევ ერთი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს საქართველოს. 29 აპრილის მიწისძვრამ მრავალი ათეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაინგრა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, შენობა-ნაგებობანი, ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები...

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, ამ დიდი უბედურების წინაშე მდგარმა ქართველმა ხალხმა ახლა მაინც უნდა დაინახოს, თუ რაოდენ საჭიროა ეროვნული ერთიანობა და ერთობლივი ძალისხმევა; თუ რაოდენ დამღუპველია ერის დაქსაქსვა პოლიტიკური მოტივებით, პოლიტიკური ოპოზიციის "ბანდიტებად" და "კრიმინალებად" გამოცხადება, ერთმანეთზე გადაკიდება არა მარტო ქართველი და არაქართველი მოსახლეობისა, არამედ ქართველებისაც კი... რაოდენ საჭირო საქმეს გააკეთებდა დღეს თუნდაც "მაშველთა კორპუსი", რომელმაც მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისას ირანშიც კი გამოიჩინა თავი, ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებამ კი პოლიტიკური მოტივებით დაარბია და ხელ-ფეხი შეუკრა...

ამ დიდმა მწუხარებამ მაინც უნდა გამოაფხიზლოს პოლიტიკური ფსიქოზით შეპყრობილი, უგზო-უკვლოდ დაბნეული ქართველი ხალხი, რათა საქართველომ ჭეშმარიტად შეძლოს შინსა შიგან გამაგრება...

მართლაცდა, ვინ ვინ არის?

გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" ა.წ. 27 აპრილს რუბრიკით "ვინ ვინ არის" გამოაქვეყნა ქართველი ინტელიგენციის 2 თვის წინათ გავრცელებული მიმართვა პროფესორ ჯაბა იოსელიანის დაპატიმრებასა და "მხედრიონის" დარბევასთან დაკავშირებით, რასაც ხელს აწერენ საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული პიროვნებები ბ-ნ აკაკი ბაქრაძის მეთაურობით...

ამ მიმართვასთან ერთად გაზეთი აქვეყნებს უნივერსიტეტის ორი სტუდენტის ფოტოსურათებს, რომლებიც ა.წ. 19 აპრილს მოკლეს ტყავის ქურთუკის გამო...

აქვეა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები იმის შესახებ, რომ თითქოს უნივერსიტეტის ზოგიერთი ლექტორის მიზანია "ჩვენი ახალგაზრდების კრიმინალებად და ნარკომანებად ქცევა"...

ყოველივე ეს გვირგვინდება სარედაქციო მინაწერით ბანდიტიზმის მავნეობის შესახებ...

ცხადია, კომენტარს არ საჭიროებს გაზეთისა და ხელისუფლების ეს უბადრუკი, პრიმიტიული ჯაბირი ბ-ნ ჯაბა იოსელიანის და მისი დამცველი ინტელიგენციის გასაშავებლად (აქაოდა, ინტელიგენცია "ბანდიტს" იცავს, ბანდიტობა კი, ნახეთ, რა საშინელებაა, ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა!). როგორი ბანდიტებისა და ნარკომანების "დამცველიც", ვთქვათ, ბ-ნი აკაკი ბაქრაძეა, ისეთივე "ბანდიტია" ბ-ნი ჯაბა იოსელიანი.

ჩვენ არ გვაოცებს ამ "მოსტატის" შემოქმედთა უზნეობა. ჩვენ მხოლოდ ეს გვაოცებს და გვანცვიფრებს: ნუთუ ასეთი, უკაცრავად პასუხია, "ლოგიკით", "სიბრძნით" და "პოლიტიკით" აპირებს ჩვენი ხელისუფლება დამოუკიდებელი საქართველოს აშენებას???

მართლაცდა საკითხავია: ვინ ვინ არის?..

* * *

4 მაისს იმავე გაზეთმა გამოაქვეყნა პასუხი ზემოხსენებულ უსირცხვილო პუბლიკაციაზე, რასაც, ჩვეულებისამებრ, დაურთო სარედაქციო მინაწერი (როგორც წესი, ასეთი, ხელისუფალთათვის არც თუ ისე სასიამოვნო მასალები, ღვარძლიანი სარედაქციო მინაწერების თანხლებით ქვეყნდება ხოლმე ამ გაზეთში). როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მინაწერიც ზემოხსენებული პუბლიკაციის მსგავსად უბადრუკ და პრიმიტიულ თავისმართლებას წარმოადგენს...

ორიოდე სტრიქონით

● საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის სხდომებს კვლავ არ გადასცემენ ტელევიზიით (განსხვავებით მოსკოვში ჩატარებული სესიებისაგან!), რისი მიზეზიც აშკარაა: არ სურთ ხალხს დაანახონ, რა "დემოკრატიული" სხდომები ტარდება ჩვენს "მრავალპარტიულ" უზენაეს საბჭოში.

● კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური დაფების გახსნა პრესამ ლამის ისე წარმოადგინა, თითქოს ამ დიდ მწერალს კომუნისტები სდევნიდნენ და ახლაღა მოხდა მისი დაფასება. ამ პროპაგანდის მიზანი ნათელია, მაგრამ საკითხავია, მაშინ რაღას ნიშნავს კომუნისტთა დროს დადგმული მისი ძეგლი, ან სქელი, დიდტირაჟიანი მრავალტომეულები, ან თუნდაც 1956 წელს (!) წამოჭიმული კოლხური კოშკი?..

● პრესაში დამოუკიდებლობის აქტის ორი ვარიანტი გამოქვეყნდა. ერთზე ხელს აწერს პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, მეორეზე – არა. საინტერესოა, რომელია "ნამდვილი" დოკუმენტი, ან საერთოდ რატომ აწერს ხელს ქ-ნი მანანა, რა თანამდებობა უჭირავს მას საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სტრუქტურაში?.. ისიც საინტერესოა, წაუკითხავს თუ არა მას პუშკინის "მეზღაური და ოქროს თევზი"?..

● გაზ."საქართველოს რესპუბლიკაში" (8.05.91) სწერია, რომ ზ.გამსახურდიას ლურჯ პერანგის ზამაკეში (!) გატარებია რამდენიმე წელი (!). (იხ.სტატია "გარდამავალი მიმდინარე პროცესებზე").

● გაზ. "ერში" (8.05.91) ბ-ნმა ზ.გამსახურდიამ უარყო თავისი "მესიობა"...

რა ხდება ვილნიუსში?

ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ ვილნიუსშიც დაღვარა უდანაშაულო ლიტველთა სისხლი. სხვათა შორის, დიდი საერთაშორისო სკანდალის მიუხედავად, მედესანტეებს დღემდე არ დაუტოვებიათ "სუვერენული" სახელმწიფოს დარბეული ტერიტორია. უფრო მეტიც, მათ გაამლიერეს კიდევ თავისი რიგები და ლიტვის სახელმწიფო ტელევიზიის შენობა ფაქტიურად ყაზარმად აქციეს. ლიტველთა ყველა ცდა, აღეკვეთათ ეს უსამართლობა (პეტიციები, გაფიცვები, მიტინგები) უშედეგო აღმოჩნდა. ამჟამად აღნიშნული შენობის წინ მიმდინარეობს პერმანენტული შიმშილობის აქცია, მაგრამ ჭრელხალათიანი მედესანტეები, რომ იტყვიან, ყურებსაც არ აბარტყუნებენ და სულაც არ ჩქარობენ ლიტველი ხალხის კუთვნილი შენობის დატოვებას.

საბჭოთა მეზღაურები და "ოქროს" თევზები

სხვა ქვეყნების მეზღაურთა შორის საბჭოთა მეზღაურები მაშინაც დიდად უბედურები არიან, როდესაც მათ ბადეს ბლომად თევზი მოჰყვება. ერთ მშვენიერ დღეს მათაც გადაწყვიტეს, რომ მეტი აღარ ეცქირნათ დანგრეული ქოხისა და გატეხილი ვარცლისათვის და ოქროს თევზი დაეჭირათ. ამ მხრივ ყველაზე მეტად მურმანსკის პორტზე მიწერილმა თევზმჭერებმა გამოიჩინეს თავი. როგორც საბჭოთა მართლწესრიგის დამცველები ამბობენ, სწორედ ეს ქალაქია უცხოური კონტრაბანდის ცენტრი. მაგალითად, ამას წინათ ერთ-ერთი თევზმჭერი გემის გალატაკებულმა მეზღაურებმა გადაწყვიტეს თევზი გაეყიდათ და უცხოეთში პირველადი მოხმარების საქონელი შეეძინათ. მართლაც, მათ ატლანტიკაში დაჭერილი 4 ტონა თევზი გაყიდეს ესპანეთის ერთ-ერთ ბედნიერ ნავსადგურში. ამ ბიზნესიდან კაპიტანსა და მის ორ თანაშემწეს 40 ათასი პესო შეხვდათ, ხოლო ეკიპაჟის დანარჩენ წევრებს 5-5 ათასი. მაგრამ საბჭოური წესრიგის დამცველებმა დიდხანს არ აცალეს "ოქროს თევზითა" და, მაშასადამე, ადამიანური ცხოვრებით ტკბობა მეზღაურებს და საბჭოთა ჩვეულებისამებრ საცოდავებს გახვრეტილი ვარცლიც სანატრელი გაუხადეს.

ნამდვილი პრეზიდენტი ბრძანდებით?

თქვენ ნამდვილი პრეზიდენტი ბრძანდებით? – ასეთი შეკითხვით მიმართა მესამეკლასელმა ბიჭუნამ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, ვირჯინიის შტატის ერთ-ერთი სკოლის დათვალიერებისას. მოსწავლე რომ თავის პრეზიდენტობაში დაერწმუნებინა, ბ-ნი ბუში იძულებული შეიქნა ჯიბეები კარგად მოეჩხრიკა და რადგან მას, ისევე, როგორც აშშ-ს არც ერთ სხვა პრეზიდენტს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნდა, იძულებული შეიქნა საკუთარი პიროვნება მძღოლობის ნებართვითა და ფირმა "ამერიკენ ექსპრესის" საკრედიტო ბარათით დაედასტურებინა ურწმუნო ბიჭუნასათვის. ძნელია ამ შემთხვევაში წინასწარგანზრახულ რეკლამაზე ითქვას რაიმე, მაგრამ როგორც "იუპის" კორესპონდენტები იტყობინებიან, ამ შემთხვევამ პრეზიდენტის პირადი დაცვის სამსახური აიძულა, რომ აშშ-ს პრეზიდენტისათვის პირადობის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა დაემზადებინა.

საინტერესოა, საქართველოშიც დასჭირდება პრეზიდენტს ჯიბეების მოჩხრეკა?

თუ კვლავაც ამ ტემპებით გაგრძელდა ავტორიტარული რეჟიმის შენების პროცესი, იმედია, რომ დაწყებითი კლასებიდანვე შეასწავლიან ბავშვებს ბელადის ბავშვობას, გამონათქვამებისა და სიბრძნის ფრაგმენტებს. ალბათ მალე დაუკიდებენ ჩვენს შვილებს ბაგა-ბაღებში და საკლასო ოთახებში ბელადის სურათებს, რათა უკეთ ჩაებეჭდოთ მათ ეს "დიდებული სახე" გონებაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოში პრეზიდენტს სპეციალური პირადობის მოწმობის დამზადება არ დასჭირდება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დაქორწინებას ულოცავს
ბედნიერ წყვილებს:
გიზო თავაძეს და თამთა კვიმსაძეს,
ზაზა ღვალაძეს და ეკა დავითაშვილს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია

ამ ბოლო დროს საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გააქტიურეს თავდასხმები რადიო "თავისუფლებაზე". მაგალითად, აღდგომა დღეს,7 აპრილს ცენტრალური ტელევიზიით ეთერში გავიდა სუკ-ის მიერ საგანგებოდ მომზადებული 45 წუთიანი ფილმი. ეს იყო ტრადიციული "ცივი ომის" კურსის გაგრძელება, რასაც ვითომდა დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ალბათ ძნელია მოიძებნოს იმპერიაში თუნდაც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც სწორად არ აფასებდეს რადიო "თავისუფლების" უდიდეს წვლილს მართალი ინფორმაციის გავრცელების საქმეში, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს პროგრესისათვის. 7 აპრილს კი საკავშირო ტელევიზიამ აქცენტი ძველებურად იმაზე გადაიტანა, რომ "თავისუფლება" ცრუ-ს რუპორია და, ამდენად, იგი ხელს უშლის საბჭოეთის ძმურ ოჯახს ბედნიერ ცხოვრებაში. ამ "ჭეშმარიტების" დასამტკიცებლად სუკ-მა მეტად "დამაჯერებელ"არგუმენტს მიმართა, – ეს რომ მართლა ასე არ იყოს, განა ჯორჯ ბუში 1990 წლის ბოლოს თავის სიტყვა-სიტყვაში ესოდენ მაღალ შეფასებას მისცემდა რადიო "თავისუფლების" მუშაობას, ან აშშ-ს კონგრესი მის დაფინანსებას 216 მილიონ დოლარამდე გაზრდიდა? ამ შემთხვევაში სუკ-ი გარკვეულად მართალიცაა, – "თავისუფლება" საბჭოთა იმპერიის არსებობის მოწინააღმდეგეა და ნამდვილად არ უწყობს ხელს მის მოდერნიზაციას. აი, რატომაა გაჩაღებული ალვირახსნილი კამპანია მის წინააღმდეგ. ასეთია საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ჰელსინკის შეთანხმებასთან, რაც ინფორმაციის თავისუფალ გაცვლასაც უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით თავისი გულისწყრომა დემოკრატიულად განწყობილმა რუსებმაც ვერ დამალეს. ისინი თვლიან, რომ "თავისუფლების" ლანძღვა-გინება პარანოიდალური მსოფლმხედველობის ალორძინების ცდას წარმოადგენს, რის წინააღმდეგაც იმპერიაში არსებულმა დემოკრატიულმა ძალებმა ერთად უნდა გაილაშქრონ. განა შეიძლება არ დაეთანხმო ამ თვალსაზრისს? მაგრამ, როგორც ირკვევა, რადიო "თავისუფლების" წინააღმდეგ ცენტრის მხარდამხარ ე.წ. სუვერენულ რესპუბლიკათა ზოგიერთი მესვეურიც თავგამოდებით იბრძვის. სამწუხაროდ, ამ მხრივ "მოწინავეთა" რიგებშია ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც, რომლებმაც რატომღაც დაივიწყეს ჰელსინკიც, დემოკრატიაც და ის დიდი ამაგიც, რაც "თავისუფლებას" საქართველოში ადამიანისა და ერის უფლებათა დაცვის საქმეში მიუძღვის. როგორც ჩანს, ახლად აღზევებულებს, ძველთა მსგავსად, ხელს არ აძლევთ საერთაშორისო ასპარეზზე მართალი ინფორმაციის გატანა. ეს კი ძალზე საშიში ტენდენციაა. ამ მხრივ განსაკუთრებული [illegible] ბ-ნ ზ.გამსახურდიას გამოსვლები გამოირჩევა. იგი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ არ შეურაცხყოს ან უდიერად არ მოიხსენიოს რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის თანამშრომლები, რომლებსაც მუდამ "კრემლის აგენტების" ტიტულებით ამკობს; ხშირად მოითხოვს მისი კორესპონდენტების საქართველოდან გასახლებას და ა.შ.

როგორ შეიძლება შეფასდეს რადიო "თავისუფლების" გაქიქების სფეროში ცენტრისა და პერიფერიის პოზიციათა ასეთი თანხვედრილობა? ხომ არ მიგვანიშნებს ეს გარემოება ცენტრის პოლიტიკური კურსისადმი შეფარულ მხარდაჭერაზე? ალბათ ამასვე მოწმობს ჩვენში ტოტალიტარული ელემენტების აქტიური შენარჩუნების ფაქტი. მარტო საინფორმაციო საშუალებათა მონოპოლიზირება რად ღირს!

"თავისუფლება" ამ შემთხვევაში ლაკმუსად იქცა, რომელთან მიმართებაშიც შესანიშნავად ვლინდება ამა თუ იმ ხელისუფლებისა და სისტემის რეალური სახე. ვფიქრობ,რომ აშშ-ს პრეზიდენტის ავტორიტეტი სრულიად საკმარისია რადიო "თავისუფლების" დასახასიათებლად. ყოველ შემთხვევაში, საიმისოდ მაინც, რომ მის ქართულ რედაქციას "კრემლის აგენტობა" არ დააბრალოთ.

კარლო კაპსაძე

დიქტატორის დაბადების დღე

28 აპრილი ერაყის დიქტატორის სადამ ჰუსეინის დაბადების დღეა. მიუხედავად იმისა, რომ ბაღდადელი ჯალათი მოკავშირეებმა წელში გადატეხეს – მგელი მგლობას მაინც არ იშლის!.. ერაყის მთავრობის ბრძანებით ამ დღისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტრადიციულად დიდი მზადება გამოცხადდა: მშრომელები წერილებით და დეპეშებით ულოცავენ ბელადს ბედნიერ დღეს; მასიურად გამოდიან შაბათობებზე – ალაგებენ ქუჩებს, ეზოებსა და სახლებს; ყველგან ფენენ ჰუსეინის სურათებს, პლაკატებსა და ლოზუნგებს. მოკლედ, არაბები შეჭირვების მიუხედავად დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ და ეს მაშინ, როდესაც ერაყელი პარანოიკის პათოლოგიურად აგრესიულ პოლიტიკას ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დანგრეულია სახლები, მოშლილია კომუნიკაციები, დაწყებულია შიმშილი, ეპიდემიები, სახეზეა სხვა უამრავი გაჭირვება. აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ხალხი განუკითხავმა ავტორიტარიზმმა! მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, რომ საქონლად ქცეული ადამიანები ვეღარც კი ამჩნევენ, თუ როგორ გააპარტახა და გაანადგურა ქვეყანა ერთი ადამიანის პიროვნულობამ, ისინი არ ადანაშაულებენ, არ ასამართლებენ მას ერის მომავლის მოსპობისათვის. მათ დაკარგეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი – სწორედ ეს არის ერის გადაშენების წინაპირობა!

მართალია, ჰუსეინის დაბადების დღისათვის არაბები საგულდაგულოდ მოემზადნენ, მაგრამ მთავრობის ტრიბუნაზე, რომლის წინაც მადლიერმა მშრომელებმა ჩაიარეს, სადამ ჰუსეინი არ მდგარა. მას არც სხვა საზეიმო ღონისძიებებში მიუღია მონაწილეობა. როგორც ჩანს, იგი თავისი პირუტყვული ინტუიციით უკვე ხვდება, რომ საქმე საზეიმოდ აღარა აქვს, თუმცა მას ეს ხელს არ უშლის, რომ უდიდესი სიამოვნებით გამოასალმოს სიცოცხლეს ათასობით ქურთი, და თუ დასჭირდა, მათ ის ტანჯული თანამემამულეებიც მიაყოლოს, რომლებიც ასე ცდილობდნენ გაელამაზებინათ დიქტატორის დაბადების დღე.

ნაწყვეტი კონსტანტინე გამსახურდიას მემუარული ნაწარმოებიდან "ლანდებთან ლაციცი"

"ექვსი წლის ბავშვმა ერთხელ ქვა ვესროლე გაპრიალებულ ეტლს. მეეტლე მობრუნდა და მოძახალა: დაწყევლილი გვარის შვილი აბა რას იზამდით უკეთესს.'

დედაჩემს გამოვკითხე და მან ასეთი რამ მიამბო:

თურმე ჭყონდიდის ეპისკოპოსს ძღვენი გაუგზავნია დადიანისათვის. მეძღვნეს გამსახურდიების მამულზე გამოუვლია. ჩვენს წინაპარს იგი დაუჭერია, ძღვენი წაურთმევია, მის შიშველ ტანზე დაგებული ცხელი ლომი ძალლებისთვის უჭმევია. ჭყონდიდელი შებრძოლებია ჩემს შორეულ პაპას და დაუმარცხებია იგი.

სოფელი საგამსახურდიო გადაუწვავს და დაუწყევლია.

მე და ჩემმა ძმამ ალექსანდრემ ვნახეთ ერთხელ ძველ ეკლესიის ეზოში ერთი ქვევრი, გამონალეწი ფლურები ეყარა შიგ.

ჩვენი გვარის შვილებიდან ორი თავაწყვეტილი ფეოდალი იყო ცნობილი – როსტომი და მანუჩარი. ეს უკანასკნელი უმოწყალოდ მუსრავდა გლეხებს და მანუჩარ გამსახურდია, რომელიც ულვაშებს აგლეჯდა ნაყმევებსა და მათ შვილებს თავის ცოლს ცხვირი მოსჭრა თურმე და მერმე წისქვილის ღარში ჩააგდო.

მანუჩარის მამულში მე და ჩემმა ძმებმა ვიპოვნეთ მდინარე ზანას პირად უამრავი ჩონჩხი; როგორც ხალხი ჰყვებოდა, ეს ადამიანები მანუჩარს დაუხოცნია და მდინარის პირად დაუმარხინებია თურმე.

ვინა სთქვა, ავკაცს კარგი შვილი არ ეყოლებაო..."

კ. გამსახურდია. თხზულებათა VIII ტომი.

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუძა აფაქიძე, კახაბერ კახაძე,
ზურაბ კიკნაძე, გურამ ყორანაშვილი, თამარ ჩხეიძე,
ნიკო ჭავჭავაძე. მხატვარი – ზურაბ მშვილდაძე.

საზოგადოების მისამართი: რევაზ ლალიძის ქ.№2, IIIსართ. ტელ.93-39-32

ფასი 1 მან.